[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [illegible]

ეროვნული ჩასაფი

ბეტრიოლოგ წერილები
ხალხური ლექსები და
სხვა და სხვა სურათები

თბილისი ქალაქი
1915 წ.

სტამბა „განათლება“ ი. ლ. პიტნოევისა

91(47.922.2)

შედგენილ-გამოცემული ივანე დვალის მიერ

91(47.922)(08)

სპეც-2000
შემოღებულია

III
ეროვნული ჩასაფ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისტორიული
ხალხური ა
სხვა და სხვა

თბილი ქალაქი
1918 წ.

სტამბა „განათლება“ დ. ლ. პიტნავასი

მკითხველთა საყურადღებოთ.

ჩვენ, ამ წიგნის გამოცემა უფრო უკეთესათ გვინდოდა. ჩვენი სურვილი და განზრახვა იყო, რომ ეს წიგნი რაჭის შესანიშნავი ისტორიული **ციხე-სიმაგრეებით ტაძრებით** და ხალხის სხვა და სხვა **სურათ-სახეობით** ლექსთ—შაირებით და სხვით გამოცემულიყო, მაგრამ, ეს დღეს-დღეობით ვერ მოხერხდა, რადგანაც საკმაო ფული არ გვქონდა. რაც შეეხება ვინმეზე დახმარების თხოვნას ჩვენ ეს ვსცადეთ, მაგალითად წერილობრივ მივმართეთ ჩვენს **ფულიანებს: კოწია დათეშიძეს, აქაკი ხოშტარიას, მიხეილ სხირტლაძეს** და სხვებს.. მაგრამ, არავინ არ თანაგვიგრძნო გარდა, **სპირდონ ბენდუქიძისა, ალექსანდრე ძეგველიშვილისა,** და **ანტონ მეფარიძისა „თავისუფალი ფული არა გვაქვსო"** იყო პასუხი მამული შვილებისაგან! **რესტორან-სასტუმროებში და კლუბებში** ასიათასობით ხარჯავენ, ასეთი საქმისთვინ კი არაფერს არ იმეტებენ, თან რომა ჰკითხოთ და დაუჯეროთ ჩვენი ქვეყნის **ლამპარი** ისინი არიან! იმედი გვაქვს ჩვენი ზემო ხსენებული განზრახვა შემეძლეში მაინც მოვიყვანოთ სისრულეში, რაც ყველა ჭეშმარიტი მოქალაქესთვის სასიამოვნო იქნება. [illegible] ჩვენს გულითად მადლობას ვუძღვნით მესტამბე **დავით პიტნავას** რომელმაც შეძლებისადა გვარათ [illegible] ქალალდით და თუ აწყობა [illegible] დაბეჭდით ამ გამოცემის საქმე გაგვიადვილა.

...ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘ

1919 წელი. 5 მკათათვე
თბილისი.

ევგენი დვალიშვილი

ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘ.

სიმღერა

ნაქები არის ყოველგან მუშა-გლეხკაცი რაჭველი!
ვით დინჯ-ბეჯითი მშრომელი და სიმართლისა დამცველი!

არ უკადრისობს რაჭველი, მეკურტნობ-მეჩულობასა,
ის ურჩევნია რაჭველსა, ძარცვას და მტაცებლობასა!

არ უკადრისობს რაჭველი, მეგულობ-მესტვირობასა
ის ურჩევნია რაჭველ კაცს ქურდობას, ჯიბგირობასა!

არ უკადრისობს რაჭველი მეჯიგრობ-მეხაშობასა,
ის ურჩევნია რაჭველსა სიყალბეს, მატყუვრობასა!

არ უკადრისობს რაჭველი, მეთორნობ-მეჭურობასა,
ის ურჩევნია რაჭველ კაცს ლალატს და კამტემლობასა!

არ უკადრისობს რაჭველი სხვასთან ხელთ მსახურობასა
ის ურჩევნია რაჭველსა ტყვილად სვლას, ხორცმეტობასა!

არ უკადრისობს რაჭველი მეწისქვილ-მებადობასა,
აგრეთვე მენახშირობას და ხერხვას, ხურობასა!

არ უკადრისობს, დიახ, ის წმინდა კურთხეულ შრომასა,
არ არს ნაჩვევი ზოგსაგით არაფა ჭურით ძღომასა!

ᲛᲐᲚᲚᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲡ ᲛᲝᲓᲒᲐ...

ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲓᲕᲐᲚᲘ

ᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ᲛᲐᲚᲚᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲡ ᲛᲝᲓᲒᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ,
ᲗᲔᲗᲠᲘ ᲤᲠᲗᲘᲐᲜᲘ, ᲑᲝᲚᲚᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ,
ᲡᲣᲚ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲓᲕᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲘᲥᲝᲛᲔᲚᲘ!

—

ᲔᲚᲔᲚᲔᲡ ᲩᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ
ᲡᲣᲚ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲓᲕᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ,
ᲝᲛᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡᲐ ᲯᲐᲛᲡᲐ, ᲒᲐᲛᲗᲔᲜᲘᲐᲡᲐ
ᲥᲜᲔᲕᲐ ᲮᲛᲐᲚᲘᲡᲐ, ᲫᲒᲔᲠᲐ ᲨᲣᲑᲘᲡᲐ,
ᲨᲣᲑᲘᲡ ᲜᲐᲚᲔᲬᲜᲘ ᲖᲔᲪᲐᲡ ᲪᲕᲘᲝᲓᲐ, ᲩᲐᲛᲝᲪᲕᲘᲝᲓᲐ!

ᲮᲛᲐᲚᲘ, ᲝᲠᲯᲘᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲨᲘ ᲡᲘᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ, ᲒᲐ-
ᲛᲝᲡᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ,
ᲯᲐᲤᲐᲠ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ, ᲡᲕᲔᲢᲘ ᲬᲐᲘᲥᲪᲐ,
ᲡᲕᲔᲢᲘ ᲝᲥᲠᲝᲡᲘ, ᲡᲕᲔᲢᲘ ᲝᲥᲠᲝᲡᲘ,
ᲯᲐᲤᲐᲠ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲮᲕᲐᲚ ᲨᲘᲜᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ
ᲪᲝᲚᲡ ᲠᲐᲡ ᲛᲘᲣᲢᲐᲜ ᲚᲐᲛᲭᲠᲣᲚᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲡᲐ!

—

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲘᲥᲜᲔᲜ? ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲘᲥᲜᲔᲜ?
ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ!
ᲝᲛᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲝᲛᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ
ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘ ᲚᲐᲛᲭᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗᲐ!

რაჭის ერისთავების და რაჭველების შესახებ.

(ისტორიული მიმოხილვა).

საქართველოს ისტორიაში, რაჭის საერისთავოს ეთმობა მეექვსე ადგილი. თუმცა საქართველოს სამეფოს მართველ გამგე პირთა განჩინებით კი რაჭას მეცხრე ადგილი აქვს დათმობილი, მიუხედავათ ასეთის პირობებისა, რაჭა მაინც სახელოვანი არის თავის საერისთავოს ხსენებით და როცა საქართველო ბრწყინავდა თავის ძლიერებით, მხნე მუშაკ ერით, რიგიანის გამგე თავად-აზნაურებით და გონიერის ხელმძღვანელ მეფეებით, მაშინ რაჭა და მისი საერისთავოც ისეთივე ბრწყინვალე იყო, როგორც თვით ბრწყინვალე საქართველოს თამარის გამგეობა, რასაც ცხადათ გვიმტკიცებს „ქართლის ცხოვრება“.

თამარ მეფის ისტორიაში და ამ მეფის სახელოვნებაში, რაჭის ერს და ერისთავს უკავიათ პირველი ადგილი. თვით თამარის გამეფებასა და დაგვირგვინებაშიაც რაჭველებს აქვსთ დათმობილი პირველი ადგილი. ეს გარდმოცემა რომ ნამეტნაობაში არავინ ჩამოგვართვას, ამას დავასაბუთებთ თვით ძველის ცნობებით, თამარ დედოფალი რომ აკურთხეს, მაშინ ასევე დალოცეს კახაბერი კვირიკეს ძე ერის თავი რაჭისა. ამ გარემოებას აი როგორ გარდმოგვცემენ: — „დადგმად გვირგვინისა თავსა სამეფოსა, იწვიეს მოწოზანი დიოსი, მადლით შემოსილი, მთავარ ეპისკოპოსი ქუთათელი, ანტონი, სადიოს ძე, მიღებად გვირგვინისა და სრულ ჴყვეს რა კურთხევა, დალოცეს მაშინ კახაბერი კვირიკეს ძე, ერისთავი რაჭისა და თავკვერისა*) და სრულ ჴყვეს მოხელეთა სვიანთა და დიდებულთა“.

ამ ცნობით საბუთდება, რომ რაჭის ერისთავი კახაბერი კვირიკეს ძე ახლო ნათესავი ყოფილა თამარ მეფისა, მიტომაც მომხდარა რომ თამარ მეფის კურთხევის დღეს, ასევე დაულოცია და უკურთხებიათ რაჭის ერისთავიც კახაბერ კვირიკეს ძე. საუწყებელია და ამას ეჭვიც არ უნდა, რომ აწინდელი რაჭის ერისთავები ამ კვირიკე კახაბერის რაჭის ერისთავის შთამომავალნი არიან ასე სჩანს ისტორიულათ, მასთან იგინი არიან პირდაპირი ნათესავნი თამარ მეფისა.

*) ლეჩხუმი

კვირიკე კახაბერის ძე რაჭის ერისთავი რომ დიახ თამარ მეფის ნათესავი ყოფილა, ესა სჩანს ამ გარემოებიდამაც, რომ როცა სოლომონ იმერთა მეფე რაჭის ერისთავს ებრძოდა, მაშინ რაჭის ერისთავმა თვისი ბრძოლის უფლება და სიმართლე იმაზედ დააფუძნა, სიტყვით, რომ ბაგრატიონების გვარში, ჩვენ, რაჭის ერისთავებს უფრო ახლო ნათესავობა გვაქვს თამარ მეფესთანაო, ვიდრე თქვენაო, ამიტომაც ჩვენი მორჩილება თქვენს წინაშე შეუფერებელი უნდა იყოს ჩემთვისაო. ასე ეუბნებოდა სოლომონ მეფეს რაჭის ერისთავი.

ჩვენ მაინცა და მაინც ამის ძიებას არ გამოუდგებით, თუ მათში ვინ იყო მართალი. გადავალთ კვალათ რაჭაზედ. აზრი ყოფილა იმავ, დროს, რომ რაჭა თურმე უნდა დაენიშნათ სამთავროთ, მეექვსე სამთავროთ და არა საერისთავოთ, მაგრამ ეს ვერ მომხდარა და თამარ მეფის ბრძანებით, თუ სხვა რამ პირობებით რაჭა დაუნიშნავთ საერისთავოთ. მიუხედავათ ამისა რომ რაჭა საერისთავოთ იქმნა ცნობილი და დადგენილი იგი მაინც არ იქმნა ამათ აღიარებული.

ისტორიის მოწმობით, რაჭის ერისთავნი თურმე თავიანთ გამგეობის დროს, აღმოსჩდნენ ხალხის დიდს ერთგულ პირებათ და რაჭის სასარგებლოთ გულმხურვალ მომქმედათ და თავის ხალხის, ანუ მთელის რაჭის ერის ცხოვრებაზედ გულმტკინეულათ მართვიდა ამისი ცხადი საბუთია ის გარემოება, რომ როცა საქართველო დაეცა და მთელი საქართველო დაიყო მან სამეფოთ და ხუთ სამთავროთ და მთელი საქართველო გარეულმა და შინაურმა მტერმა გადალახა. ამ დროს, რაჭველებს წარბიც არ შეუხრიათ და იგინი როგორი მუშაკნიც იყვნენ XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, ისეთივე იყვნენ თვით ამ უბედურების დროსაც.

ამის ცხადი საბუთია ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ რაჭის ერისთავების გონივრულის მოქმედებით, რაჭის ერი ყოველთვის ფეხზეთ იდგა მეურნეობით და სხვა და სხვა ხელოსნობით და იმით იგინი სამაგალითონი იყვნენ მთელს საქართველოში. ამის გარეშე საყურადღებოა კიდევ რაჭველების ის გმირული გარემოებაც, რომ იგინი უაღრესათ არიან შეჩვეულნი სხვა და სხვა ხელოსნობას, ამის მუშაკობას და მასთანვე ყველა სამუშავო საქმეს ხელს ჰკიდებენ უაღრესის ხალისით, მაგარის ჯანით და კარგის სამუშავოს ხალისით, მაინც რაჭველები შენიშნულნი არიან ძველადგანვე როგორც მხნე და კარგი მომუშავენი ყველა სამუშავო და სახელოსნო საქმეებში.

„მ შ ვ ე ნ ი ე რ ი რ ა ჭ ა“

ამით რაჭველები ისეთი ერთგული მუშაკნი არიან, რომელთაც არამც თუ მარტოთ იმერეთის ერი, არამედ მათ მთელი საქართველოს ერიც ვერ შეედრება. ესენი მართალია თითქოს რალაც ნაირათ უკან ჩამორჩენილ ხალხს ჰგვანან, ხოლო მათ აქვს ორი კარგი შნო და ენერგია, ერთი მუშაკობის ხალისი დაუცხრომლათ და მეორე კიდევ მოთმინება და გონიერების შეთვისება, ადვილათ მიღება ესეთი გარემოება რაჭველებისა არის ძველის ძველი საკუთრება და არა ახალი, ამას ვხედავთ მათში ძველადგანვე. იგინი არამც თუ მარტოთ დღეს არიან ასეთის ღირსებით დაჯილდოვებული, არამედ იგინი აღვსილნი არიან ძველადგანვე სწორეთ ასეთის სამუშაკოს, სახელოსნოს და ენერგიულის ცოდნით სჩანან ადრიდგანვე.

ისტორიულათ დასაბუთებულია, რომ თვით XVII საუკუნის ნახევარს, ანუ როსტომ მეფის დროს, რაკი თფილისმა მოშენება იწყო, ამიტომაც თფილისში, ყველაზედ უფრო მეტათ გამრავლება იწყეს რაჭველ მუშებმა და ხელოსნებმა.

როსტომ მეფის დროს თფილისი გაივსო რაჭველებით, მაშინდელ თფილისის დურგლები, ხუროები, მხერხავნი, კალატოზები თითქმის სულ რაჭველები იყვნენ, ასევე მეხაშეები, მეპურეები და კურტნიანი მუშებიც კი სულ ესენი იყვნენ. იყვნენ ისეთი მუშაკნიც, რომელნიც მტკვრიდან კოკებით წყალს ზიდავდენ, რაც დრო გადიოდა, მით რაჭველების რიცხვიც თფილისში ერთი ათათ მატულობდა. იგინი რასაც კი ჰკიდებდენ ხელს, ყველაფერს საქმეში იჩენდენ სათანადო ნიჭს და შნო და ენერგიას.

სახელოსნო საქმეებთა გარეშე რაჭველებმა სავაჭრო ნაწილშიაც კაი შნო გამოიჩინეს და დღეს მათგან ბევრნი არიან ოთხსავ კუთხივ გაფანტულნი, რომელთაც თავიანთი საქმეები ჩინებულათ მიჰყავსთ და ყველა სავაჭრო საქმეებს კარგათ აწარმოებენ; ეს არის ნიშანი მის, რომ იგინი არიან დაუზარებელნი მუშაკნი და მასთან მოთმინების მექონი და სწავლისაც მალე შემთვისებელი.

ყველა ეს პირები კი ჩვენის ფიქრით მათში უნდა იყოს დანერგილი ისტორიულის გარემოებისა და რაჭის ერისთავების მართვა გამგეობის ზე გავლენისაგან. ერისთავები საქართველოს სხვა კუთხის ქართველებსაც ჰყვანდენ, მაგრამ ესეთნი კი არა, როგორც რაჭის ერისთავები ყოფილან. ამიტომაც საუწყებელია ის გარემოება, რომ ასე რომელიმე ერის მომზადება მხნეობით, ხელოსნობაში და ვაჭრობის ენერგიულათ წარმოებისათვის ერთსა და ორს წელიწადში

არ აღორძინდება, მას ექმნება უსათუოთ გძელი დრო და გაბმული ძაფი სხვა და სხვა ისტორიულ პირობებთან, რაც ცხადია და აუცილებელი.

თუმც რაჭველებს ასეთი ისტორიული წარსული აქვსთ და იგინი ძველადგანვე სჩანან ჩვენს ისტორიაში შეგნებულ მხნე, ხელოსან, მუშათ და ვაჭრებათ, მაინც მიუხედავათ ასეთის ისტორიულის ღირსების, რაჭველებს ძველათგანვე, რაღაც მანქანებით, თუ შურით საგინებელი სახელი გაუვარდათ, ამის მიზეზები ჩვენთვის უცნობია, ისკი ცხადია რომ რაჭველებს უწოდეს ჩულიანები, მასთან ნადირი ხალხი, შეუგნებელი და უკან ჩამორჩენილი. საქმე ისე დატრიალდა, რომ რაჭველებს ერთ დროს კაცი მჭამლებიც უწოდეს. ამ უკუღმართმა ჭორებმა და ცილმა რაჭველების საქმე ისე მოაწყო, რომ მართლაც რაჭა და რაჭველები მივიწყებულ იქმნენ ევროპიელ მოგზაურთა და საქართველოს მეისტორიეთაგანაც. თვით ვახუშტმა რომელმაც დასწერა რაჭის ისტორია და გეოგრაფია, ამასაც კი არ უნახავს რაჭა თვალით

ამ გარემოებას ჩვენა ვხსნით ამ პირობებით, რომ რაჭველებს ,როგორც ხვნათესვის მიმდევარს ერს, მუშაკს, სიმდიდრით სავსე ქვეყნის მპყრობელთ პატრონთ და სხვა მხრივათაც დაწინაურებულთ, ქართველთ შორის, მტრები გამოუჩნდენ ქართულის შურით, ქართულის მტრობით, სხვა არასფრით. ჩვენ ასე ვფიქრობთ და ეს სწორეთაც ასე უნდა ყოფილიყოს. აბა ეს რა შესაწყნარისი უნდა ყოფილიყოს, რომ იტყოდენ რაჭველები ნადირი ერია და კაცის მჭამლებიო. კაცის მჭამლათ თავის დღეში არ გახდება ისეთი მდიდარი მოსავლიანი ქვეყნის კაცნი, როგორიც არის რაჭა.

ცნობა არის, რომ ,ვიო XVIII საუკუნის ბოლოს გამოჩენილი ნასწავლნი ბერები ,ვანე ხელ-შვილი და ღამბარაშვილი როცა ,,საკალმასოთ'' მოგზაურობდენ მთელ საქართველოში. მაშინ ამათ რაჭის გზასაც გაუდგნენ, მაგრამ ეშინოდათ, იტყოდენ .თურმე: რაჭველები ნადირი ხალხია, კაცი მჭამლები არიანო. ჩვენ აქ დაგვხოცავენო ჩვენი წასვლა არ იქნებაო. ასე თათბირობდენ ეს ნასწავლი ბერები, ამ დროს, გზაში მათ შეხვდათ ერთი რაჭველი გლეხ-კაცი. ბერებმა იფიქრეს. ამ გლეხ-კაცს გამოვკითხოთ და თუ მართლა რაჭველები ნადირი ხალხია და კაცის მჭამლები, ამის ლაპარაკიდამაც შევიტყობთო.

მგზავრები მალე მიესალმნენ ერთმანეთს და ბოლოს ნასწავლ ბერებმა რაჭველ გლეხ-კაცს კითხვები მისცეს. რაჭვე-

ლიც პასუხებს აძლევდა, მერე ლაპარაკში გართულ რაჭველს ჰკითხეს **შენ რაჭველო ვინა ხარ! რაჭველი ხარ თუ ქრისტიანიო.** რაჭველმა პასუხი მისცა: – ჩვენ, ბატონო **ორივე გახლავართო.**

ნასწავლ ბერებმა ერთმანერთს შეხედეს და გაეხარდათ, რომ ასეთი პასუხი მიიღეს. მერე ერთმანერთს ლაპარაკი გაუმართეს და სთქვეს:

არა, არა! რაჭველების შესახებ ტყუილი ხმები ყოფილა გავრცელებული, არა რაჭველები არც ნადირი ხალხი, ყოფილა და არც კაცის მჭამლები იქნებიან, აი ამ სოფლის გლეხმა კაცმა როგორი პასუხი მოგვცა, იგინი რომ კაცის მჭამლები და ნადირი ერი იყოს, მაშინ ეს ნადირიც ასეთ გონივრულ პასუხს არ მოგვცემდა ჩვენს დაკითხვაზედ, მაგრამ სჩანს რაჭველები ასეთნი არ არიან, რასაც ხალხი ლაპარაკობს მათზედ, ამიტომაც ასეთი გონივრული პასუხი მოგვცა ამ რაჭველ გლეხმა კაცმა. ყოველივე ამის შემდეგ ეს მოგზაური მსწავლული ბერები უშიშრათ გადავიდენ რაჭაში და თავის საქმეს ხალისიანათ შეუდგნენ.

რაჭაში არ დაბადებული რაჭველი.

ზ. ზიზანაძე.

რაჭველების ამაგი და ღვაწლი საქართველოს ერის კულტურული ისტორიის წინაშე.

ბევრნი ამ სათაურს სულ არ დაემორჩილებიან და იტყვიან რომ: — „სად კულტურა და სად ჩულიანი რაჭველებიო“. დიახ, ეს იქნება იმ დროამდე ვიდრე ჩვენი ისტორია ამ გარემოების შესახებ თავისებურის მდუმარებით იქმნება გარე მოცული. ეხლა ჩვენ გვინდა, რომ ამ გარემოებას ფარდა გადავხადოთ და ავნუსხოთ ის, რის ვალდებულიც იყო ყოველი ქართველი მეისტორიე, რომ იმას ეს აღენუსხა აქამდისაც.

საქმე და საგანი ამ გარემოებისა აი რასში გახლავსთ: რაც არ უნდა იყოს არავისთვის საკვირველი და დაფარული, აი როგორ არის რაჭველის ამაგი და ღვაწლი ქართველი ერის კულტურის და

ისტორიის წინაშე. ყველამ ვიცით კარგათ, რომ საქართველო ბიზანტიურ-რომაელ და უკეთ რომ ვსთქვათ, ევროპიულ ერთა მსგავსათ თვალთ ახსნილს ცხოვრებას, XII საუკუნის დამდეგს დაადგა. ამ დიდებული წარმატების მეთაურათ ითვლება დავით აღმაშენებელი.

XII საუკუნის დამდეგიდამ, ქართველი შვილებისათვის გაიხსნა ბიზანტიის ათინის სასწავლებლის კარები, ამ დღიდამ მთელი ბიზანტიის უმაღლესი სკოლები გაივსო ქართველთ შვილებით, რომელთა ხარჯსაც კერძოთ იხდიდა მეფე დავით აღმაშენებელი. ეს იყო პირველი ნაბიჯი ქართველთ შვილების და აქედამ, ანუ ბიზამტიიდან მათ მალე მიაღწიეს იტალიის და ევროპის ერთა უმაღლეს სკოლებშიაც, სადაც მათ ადვილათ იწყეს გადასვლა, მოკლე დროის განმავლობაში მთელი საქართველო გაივსო სასწავლებელით და ნასწავლის ქართველის კაცებით და სწორეთ ამავე გარემოებას მოჰყვა ის ბრწყინვალე ხანაც, რომ ხსენებულსავე საუკუნეს, ანუ XII საუ. ნახევარს ქართველი ერი და მწერლობა ისე აღორძინდა, რომ მალე დადგა მათთვის „ოქროს საუკუნეც“.

ამ საუკუნეში, მართლაც „ოქროს ხანამ“ ქართველ ერს ბევრი რამ მოანიჭა, იმ დროს ქართველნი თანაბარნი გახდენ ევროპის ერთა და მოხდა ისიც, რომ ქართველთ სასულიერო წოდებამ, ბიზანტიელთა კვალათ, საქართველოში დახსნეს სასულიერო უმაღლეს სასწავლებლები—აკადემიები, ამ აკადემიებში ყველა მეცნიერებას ზედ მიწევნით ასწავლიდენ, რადგანაც ამ მეცნიერებათა მნიშვნელობა ამ დროის ქართველთ კარგათ იგემეს, როცა არაბებს საქართველო ეკავათ და როცა მათ თბილისში აღაგეს ყარსკვლავ მრიცხველობის ობსერვატორია. ამ დროს, ეს ობსერვატორია განთქმული იყო მთელს აღმოსავლეთის ქალაქების ობსერვატორიებზედ.

ამიტომაც ქართველმა შვილებმა საქართველოს არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ, იწყეს თვალის გახილება და უმაღლესათ მომზადება არა მარტო ბიზანტიურ და რომაულ სწავლა-განათლებით, ფილოსოფიით და მეცნიერებით, არამედ ევროპის ერთა მსგავსათ სხვა და სხვა სახელოვნო სწავლაშიაც დიდი წარმატება და შნო გაჩოიჩინეს, ასეთის წარმატებით ქართველნი თანაბარნი გახდენ ევროპელთა სწავლა-განათლებით და კულტურის მხრითაც, ბარონ როზენი უბრალოთ ხომ არ სწერს, რომ ქართველთ—კოლხებს ძველათ ისეთი განათლება ჰქონდათო, რომ მეზღვაურობა

ბიზანტიელებმა ქართველ-კოლხელებისაგან შეისწავლეს და არა ქართველებმა მათგანო.

დიახ, ეს ასეა და სწორე ქართველთ როგორც სულ ძველის ძველათ, ისევე მათ XII საუკუნის დამდეგიდამ მარტივათ იწყეს კულტურულათ ამაღლება და დაწინაუ'ება. მოკლეთ ითქმის, რომ XII საუკუნეს გასულს, საქართველო უკვე მორთული იყო სწავლა-განათლების და კულტურის მხრით და იგინი ევროპიელთ არასფრით არ ჩამოუვარდებოდენ ქართველნი აზიის ერებზე ყველაზე მაღლა დადგნენ და თვით არაბებსაც კი გააწრეს წინ, ქართველთ ამაღლება ისე წავიდა წინ, რომ არაბულს ენაზედ მათ არ დარჩათ არც ერთი სამეცნიერო და ვარსკვლავთ-მრიცხველური წიგნი, რომ ქართველ ენაზე არ ეთარგმნათ, ასეთია მაგალითები არაბების მწერლის ზამბახრის წიგნი „ვარსკვლავთ მრიცხველობის“ თარგმნა ქართულ ენაზედ. ჩვენთვის რომ ბედ' არ ეღალატნა და ჩვენი ქვეყნის საქმე გარეშე მტერთაგან არ დაჯაჭნილიყო ქართველნი დღეს ევროპის ერთა მსგავსათ დაწინაურებული იქნებოდა, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგანაც ჩვენს სამშობლოს ბედმა ღალატა, აღმოსავლეთის ერთ და ნამეტურ მუსულმანებს დიდათ შეშურდათ ჩვენი დაწინაურება იგინი ჩვენ წინ აღიბორგნენ და დაგვიწყეს ბრძოლა და მათი წადილი იყო რომ, ამ ბრძოლით ჩვენ სულ მოვსპობილიყოთ, ჩვენს მიწა მამულზე გავმქრალიყავით, ან კიდევ სჯულით გავთათრებულიყავით და ჩვენი ტომიც მოსპობილიყო.

აღმოსავლეთის ერთა ბოროტებას თან სდევდა ყოველთვის დიდი მტრობა და შური ქართველთ ერის ცხოვრების, მართალია მათ დაგვძალეს, მაგრამ გაქრობით კი ვერ გაგვაქრეს, დედამიწის პირზე ვერ მოგვალპეს, ხოლო კულტურულათ კი დაგვამდაბლეს, რადგანაც ჩვენი მტრები საქართველოზედ ყოველთვის 'შეერთებულის ძალით მოდიოდნენ და მით ჩვენსას ყოველთვის ანადგურებდენ. საქმე ისე მოეწყო, რომ მეცამეტე საუკუნის დამლევამდე ქართველთ შორის საერთოდ იწყო ვრდომა როგორც სწავლა-განათლების მხრივ, ისევე კულტურულათაც. აქ მაღლე იწყეს ქართველთ აკადემიების დახურვა, ასევე სხვა და სხვა სასწავლებლების მოსპობა.

ამავე გარემოებას მოჰყვა და მოისპო ქართველთ შორის მეურნეობა, ბაღოსნობა, მევენახეობა, მეყველე-მერძევობა, მეღვინეობა, მეწისქვილობა და ბევრიც სხვა ამასვე

მიჰყვა თან. ქართველთა შორის დავარდა სასტიკათ ყველა ხელოვნური თუ არა ხელოვნური ხელოსნობა და ოსტატობანი. საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველთ შორის აღარ იხილვებოდენ უბრალო დღიური მუშა-ხელოსნებიც კი, მაგალითებრ როგორც ხურო, დურგალი, კალატოზი, მჭედელი და ბევრი სხვანი. ქართველებს ამისთვის აღარ სცალოდათ, ყველგან **„ქუდზედ კაცის“** ძახილი ისმოდა და საქართველოს ტერიტორიის ანუ მიწა-მამულის შენარჩუნების ნატვრა იმ დროის ქართველთა საქმეთ და საგნათ მარტო ეს იყო, მათ სხვა ყველაფერი დასთმეს და დავიწყებას მისცეს. ამ სამწუხარო მოვლენამ საქართველოს ერი სასტიკათ დააკნინა, მძლავრათ დასცა და დაამდაბლა ქართველთ ერში, მალე ყოველივე ისე მოისპო, რომ ქართველთ თვით თავიანთი სახლების კეთებაც კი მიავიწყდათ, ქართველნი მიეცნენ თავის სახლების კეთებას ასე: თაგვის სოროებივით მიწაში სთხრიდნენ უკედლო სახლებ', კოჭებს ხურავდენ და ასეთის სახლებით იოლათ მიდიოდენ. ასეთ ქოხმახებს დღესაც კი აკეთებენ თფილისის ახლომახლო სოფლებში.

მოისპო ქართველთ შორის ყოველისფერი და გაქრა სასტიკათ და მკაცრათ. გავერანდა ყოველისფერი ისე, რომ თითქოს საქართველოში ოდესმეც კი აღარაფერი ყოფილიყოს. აი ამ დროს რაჭა დარჩა განმარტოებით. რაჭის ერისთავების გამგეობის ძალით რაჭის მიდამოების ანუ საზღვრების ყველა კარები დაიკეტა, ამით იგი დარჩა მტერთა შეუვალი.

ამიტომ რაჭაში საქართველოს მტერმა ფეხი ვერ შედგა. აქ მათ ვერაფერი დასცეს და ვერ მოსპეს ისე, როგორც ეს მოხდა ქართლსა, კახეთ', იმერეთს და სხვა კუთხეებშიც, გარდა იმისა, რომ რაჭის საზღვართა კარნი დაიკეტნენ, თვით რაჭველებიც იჩენდენ სათანადო ცდასა და შრომას, რის საშუალებითაც რაჭაში არაფერი ეძლეოდა დავარდნას და მოსპობას. რაჭაში ყოველისფერი ხელუხლებლათ დარჩა ყველა ხელოსნობანი, ყველა ოსტატობანი, გარდა იმისა, რომ რაჭველებმა დაიცვეს ბევრი რამ საკულტურო გარემოებანი, ამის გარეშე იგინი თვითაც ავითარებდენ ბევრ რამეს და აუმჯობესებდენ თავიანთი ცოდნით და მის განვითარებით.

საქმეც ისე მოეწყო, რომ საქართველოში, ხშირათ ხელოსნებთა შოვნა და ხსენებაც აღარ იყო, მაშინ რაჭიდამ გადმოდიოდენ ქართლს, კახეთს გურია იმერეთს ყველა საჭირო ხელოსნები, მცოდნე კაცები და აქ მუშაკობდენ, ესენი აკეთებდენ მრავალ საჭირო ყველა საქმეებს. ეს ცხადი უტყუარი მაგალითია. ჩვენს სამწუხაროთ, დაკნინებულ ქართლსა, კახეთსა და იმერეთში აი რა მოხდა **XVI** საუკუნის დამდეგიდამ: მთელი საქართველო ისეთ სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ქალაქ თფილისში არც ერთი ხელოსანი აღარ იხილვებოდა, თფილისში ვისაც რამე შენობა ჰქონდა, იმას ხელოსნები უსათუოთ რაჭიდამ უნდა გადმოეყვანა, სხვა გზა არ იყო, ამიტომაც ქართველთ გარემოება ისე დატრიალდა, რომ თითქმის საქართველოში დაემხო ყოველისფერი, დაემხო ეკკლესიების კეთება ისე, რომ შემკეთებლები აღარ იყვნენ, კოშკების, ხიდების და ეკკლესიების.

ხელოსნობის ასე დაცემის გამო საქართველო ჩავარდა სატირელს მდგომარეობაში, ხოლო ამ მდგომარეობასაც მოევლინა თავის წამალი. ეს იყო **XVII** საუკუნის ნახევარს, როცა საქართველოში, სპარსეთიდან შემოვიდა და გამეფდა ხოსრო-მირზა, ანუ როსტომ მეფე, გათათრებული. ამ მეფის მოსვლით და გამეფებით იწყება ახალი ხანა და კვალი ქართველების გამოფხიზლების, თვალის გახილების და სახელოსნო ასპარეზზედ დაწინაურების. ამ მეფემ თავის გამეფების დღიდან ისურვა თფილისის გალავნის შეკეთება, ასევე თფილისის დაქცეული ეკკლესიების, ხიდების, ქარვასლების და თავის სასახლისაც, მაგრამ ხელოსნების შოვნა კი არ იყო. ხოსრო-მირზამ მალე შეიტყო, რომ საჭირო ხელოსნები რაჭაში ბევრნი არიანო. ხოსრო-მირზა გულნატკენი იყო ამ გარემოებაზედ, რომ საქართველო ესე როგორ დაეცაო, მაგრამ გაამხნევა იმან, რომ მან რაჭის ამბავი შეიტყო, რომ აქ ყველაფერი უვნებლათ არის დაცული და შენახულიო.

ამიტომ ხოსრო-მირზამ მალე მიჰმართა რაჭის ერისთავს და ხელოსნები და მუშები გამოსთხოვა. რაჭის ერისთავმა მალე დართო ნება რაჭველებს, მალე გაიხსნა რაჭის გზები და რაჭველებმაც იწყეს ქართლსა, კახეთსა და იმერეთში გადმოსახლება, ნამეტურ თფილისში ჩამოსახლება. საქმე ის მოეწყო, რომ შაჰ-აბაზისგან ორჯელ აკლებულს თფილისში 1630 წლებამდე უკვე რაჭველთ ხელოსნებით და მუშებით გაივსო. ცნობა არის, რომ 1633 წ. მარ-

ტოთ თფილის ქალაქში რაჭველი ხელოსნების რიცხვა 40 ათასზედ უკვე მეტი იყო. რაკი ხელოსნებმა მრავლათ იწყეს მომრავლება, ამიტომ ხოსრო-მირზამაც ისურვა მათი დახმარების მიცემა და მფარველობა.

რაჭველ ხელოსნებსა და მუშებში იყვნენ: ხურო, დურგალი, მხერხავი, კალატოზი, მჭედელი, ქვისმთლელი, ხარაზი, თერძი და ბევრიც სხვა მუშაკნი: დღიური უბრალო მუშაკნი, წყლის მზიდავნი მუშაკნი, რომელნიც კოკებით ზიდავდენ ტკვრიდან წყალს, ბარგის მზიდავნი მუშაკნი, ანუ გადამტან-გადმომტანნი, სხვილი მოვაჭრენი, მეხაშენი, მეპურენი და სხვანიც ასეთნი მოვაჭრენი.

ყველა ესენი ხოსრო-მირზამ დიდის პატივისცემით მიიღო, ხელოსნებს აუწყა განწესება მათის ხელოსნობის ამქრის ანუ ასნაფის გამწესება დაავალა, ჩვენებურათ ასნაფი ამქრულ წესწყობილებას ნიშნავს. ასეთივე დარიგება აუწყა ხოსრო-მირზამ წვრილ წვრილ ვაჭრებს და დიდრონებსაც. რაჭველ ხელოსნებმა შეისმინეს დავალება და მათ მალე დააწესეს ამქრული წესები. ასე და ამგვარათ ხელოსანთა შორის საქართველოში ამქრული წესების დაარსება ეკუთვნის **XVII** საუკ. და იქნება ადრეც და არა ისე, როგორც ამას ფიქრობენ სომეხთა მსწავლულნი, რომ ვითომც საქართველოს ხელოსნებში ამქრული წესების დაარსება ეკუთვნის მხოლოდ **XVIII** საუკ. ნახევარს და ისიც სომეხთა მიბაძვით, ეს ტყუილია.

რაკი თფილისში დაარსდა რაჭველ ხელოსნების სახელოსნო ორგანიზაცია, მის შემდეგ როსტომ მეფეც შეუდგა თფილი ქალაქის გალავნის შეკეთების თავდარიგს, რაჭველი ხელოსნებით მალე შეუდგა ამის განახლებას, გალავნის განახლებას მოჰყვა კოშკების განახლება, ნარიყალის ციხის, თფილისის ხიდების, ბოგირების, გზების და ამათ შემდეგ იწყეს განახლება და შეკეთება ამ დროინდელის თფილისის სავაჭრო და სახელოსნოს ქარვასლების, ესენიც მალე იქმნა აღდგენილი. შემდეგ ამისა თფილისის მცხოვრებთ იწყეს თავინთ სახლების აშენება და განახლება, ვინაიდგან შაჰაბაზის შემოსევის და თფილისის დაქცევის შემდეგ, აქ თფილისში ველარავის რა განეახლებიათ და შეეკეთებინათ, რადგანაც ხელოსნების შოვნა თურმე სულ არ იყო.

რაჭველების ცდით, შაჰაბაზისაგან დანგრეული და დაქცეული თფილისი განახლდა, თფილისის ქარვასლებს დაეტყო სიცოცხლის ნიშნები. მასთან ხელოსნობის

იწყეს გამრავლება, მაშინ თურმე თფილისში რამდენიც ხელოსნობა იყო, იმდენიც მათი ქარვასლა არსებობდა. მაგლითებრ ჭონებს ჰქონდათ ცალკე თავიანთი ჭონხანის ქარვასლა, ასევე ჰქონდათ თერძებს, მეშანდლეებს და სხვებსაც. ამიტომაც თფილი ქალაქს მალე დაეტყო სიცოცხლე, რადგანაც ქარვასლების გამრავლებამ მალე მოუყარა თავი ხელოსნებსაც. რაჭველ ხელოსნებმა და მხერხავებმა მაშინ გააკეთეს თფილისის ტკვრის ნაპირას სატივო და მათის დავალებით ჭობისხეველებმა ბორჯომის ხეობით ტივების შემოტანაც იწყეს. დღევანდენდელი თფილისის ის რიყე, სადაც მხერხავები არიან მაშინ არის აშენებული, რაც შარდენის მიერ აღწერილს თფილისის ამ დროინდელ რუქაზეც სჩანს. მოკლეთ ვიტყვით რომ XVII საუკ. თფილისში დაცემულ იყო ქართველთა შორის ყველა ხელოსნობანი, ამ გარემოებას რაჭველი ხელოსნები წინ აღუდგენ და მათ მარდათ იწყეს თფილისის მცხოვრებლებში ყველა ხელოსნობის გავრცელება. რაჭველების ცდით საქმე ისე მოეწყო, რომ სულ მოკლე დროის განმავლობაში მთელი თფილისი გაივსო სხვა და სხვა ხელოსნებით. აღარა დარჩა არც ერთი ხელობის ოსტატობა, რომ ის თფილისის მკვიდრთ არ სცოდნოდათ. ასე და ამ გვარათ, რაჭველებმა აღადგინეს თფილისში ქართველთ შორის დაცემული ხელოსნობანი და იგი უვნებლათ გადასცეს ქართველ მცხოვრებთ თფილისში და სხვაგან.

სწორეთ ეს მიზეზი იყო და ეს მოწყალება რომ რაჭველებმა თავიანთის რაჭის დაკეტილის ცხოვრების წესებით ქართველერს ბევრი რამ ხელოსნობა შეასწავლეს უვნებლათ და მერე იგი მთელ ქართველობას გადასცეს. ბევრისათვის შეიძლება ეს ისტორიული გარემოება უმნიშვნელოიყოს ჩვენთვის კი იგი მეტად დიდ მნიშველოვანია და საყურადღებოც, აი უფრო რათა და რა მოსაზრებით.

XVII საუკ. დამდეგიდან მთელ ურმიასა და სალმატს ცნობილ იქმნა, რომ საქართველოში ხელოსანთა რიცხვა დიდათ შემცირდაო. ამიტომაც იქიდანაც იწყეს საქართველოში შემოსვლა ურმიას აისორებმა და სალმატის კრუა სომხებმა, უფრო კი იმ დროს, როცა თფილისში საქართველოს ხელოსნებით სავსე იყო. ჩვენდა სამწუხაროთ, ამ გარემოებით ისარგებლეს ზოგიერთებმა და სხვათა შორის, სომეხთა ტომის პროფესორმა ეგიაზაროვმა ხელზედ დაიხვია ეს გარემოება და 1891 წ. აი რა მოგვიძღვნა თავისაგან დაბეჭდილს რუსულ წიგნში, რომელიც მან ყაზანში დაბეჭდა. აი მისი სიტყვები: „საშუალო საუკუნოებში, საქართველოში, ქართველთ შორის

ხელოსნობა ისე დაეცა სხვა, რომ მათში ალარც სახლების კეთება იცოდენ, ალარც სხვა ასეთნი და არც თვით პურის ცხობა და ღვინის დაწურვაც-კი მიავიწყდათ იმ დროს, საქართველოში თუ ხელოსნები იყვნენ, იგინი იყვნენ სულ სომხები, აისორები, ბერძნები, თათრები და სხვანიო“.

ამ ცნობით პროფესორმა დაამტკიცა სრული უმეცრება და უცოდინარობა საქართველოს ერის ისტორიის, ის რაც მათთვის ხელ საყრელია, იგი მათ კარგათ იციან და რაც არა და ისტორიის ჭეშმარიტებას შეადგენს, ამასთან მათ საქმე არა აქვსთ. ვიტყვით თამამათ, რომ როგორც პროფესორი ბრძანებს, საქმე ისე არ არის საქართველოში მართალია შემცირებულ იქმნა ხელოსნობა, მაგრამ არც ისე, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. მართალია ქართლს, კახეთსა და იმერეთში შემცირებულ იქმნა ქართული ხელოსნობა, იმას ნაცვლათ იგი დაცულ იქმნა მკვიდრათ რაჭაში.

რაჭველებმა მკვიდრათ და მტკიცეთ დაიცვეს ყოველნაირი ხელოსნობანი და როცა საჭირო იყო ამათ ეს მთელს ქართველობასაც გადასცეს უვნებლათ. ამიტომაც რაჭველების ასეთ სამსახურს აქვს ერთობ დიდი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის წინამე და მე მას ვუწოდებ დიდს ღვაწლსა და ამაგს საქართველოს ერის კულტურულ ცხოვრების და ისტორიის წინაშე... რაც შეეხება რაჭველების ცხოვრების საქმეს და მათს რიცხვს რაჭაში, ამის არაფერი არ აღმოჩნდა ფარსაგათ. რაჭა XVII საუკუნეში ისე იყო სავსე მცხოვრებლებით, რომ მათი რიცხვი იქ 300 ათას კომლზე მეტი იქნებოდა, ბოლოს როსტომ მეფის შემდეგ, რაკი რაჭველებმა თფილისში იწყეს მრავლათ გადმოსახლება, მის შემდეგ, მათი საქმე მარტოთ ამით არ გათავდა. თფილის გარდა რაჭიდან სახლდებოდნენ ქართლის ყველა ქალაქებში, კახეთის, იმერეთის, სამცხე-საათაბაგოში და სხვაგანაც, ყველგან, სადაც კი ხელოსანთა რიცხვი საჭირო იყო, და აქ ამათი რიცხვი კი არ გახლდათ. ცნობა არის რომ რაჭველები ოსეთში და რუსეთშიდაც გადადიოდენ და სახლდებოდენ, ამიტომაც ნურავის გაუკვირდება ის გარემოება, რომ XVII საუკუნეში თფილისში რაჭველების რიცხვი 40 ათასზედ მეტი იყო. სწორეთ ეს გარემოება არის იმის უმთავრეს მიზეზათ გამხდარი, რომ რაჭაში ჩვენს დროს და საუკუნეში მცხოვრებთა რიცხვი ასე პატარაა, ანუ მცირე. სულ 80.000 კომლამდე.

ზ. ბ.

თფილისში 1918 წელს შემდგარი ,,რაჭული სიმღერების მოსიმღერე და მასთან ფერხულის მოთამაშე რაჭველ მუშების ჯგუფ-დასი.''

1. რევაზ გრძელიშვილი, 2. ილიკო აბაიშვილი, 3. მალაქია არჩვაძე, 4. ისიდორე ტორონშელიძე, 5. კოლია ობოლაშვილი, 6. იასონ ნასირაძე, 7. გრიგოლ თოდაძე, 8. ლუკა კერვალიშვილი, 9. ვანო ლებანიძე, 10. ვასილ ტოგონიძე, 11. არსენ ბურდილაძე, 12. პავლე ღოთვაძე, 13. კოწია ინასარიძე და 14. ვასილ საგანელიძე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ს ი მ ღ ე რ ა

გაუმარჯოს საქართველოს
მუშა-ხალხის სამმართველოს,
დიდებულს და სასახელოს
მთელი ქვეყნის სამლოცველოს!!!

ე. დ.

ᲐᲑᲠᲐᲛ-ᲘᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ

ᲐᲑᲠᲐᲛ-ᲘᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲡᲘ ᲡᲣᲚᲗᲛᲐᲦᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲮᲐᲢᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲛᲠᲗᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲣᲠᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲠᲐᲯᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲢᲕᲘᲠᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲒᲕᲠᲔᲚ ᲮᲛᲘᲗ ᲛᲦᲔᲠᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲦᲘᲦᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲡ ᲡᲢᲕᲘᲠᲖᲔ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲡᲬᲔᲠᲐ ᲓᲐᲨᲔᲯᲥᲛᲜᲐ IX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲠᲐᲯᲕᲔᲚᲛᲐ **ᲛᲬᲘᲒᲜᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲛᲐ** ᲑᲔᲠᲛᲐ, **ᲘᲝᲕᲐᲜᲔ ᲓᲕᲐᲚᲛᲐ**. ᲐᲛ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲛᲬᲘᲒᲜᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ **ᲮᲐᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲪ** ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚ-ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ „**ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ.**“ ᲘᲝᲕᲐᲜᲔ ᲓᲕᲐᲚᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲑᲜᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲐᲗ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ. „**ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ**“ „**ᲨᲝᲑᲐ**“ “**ᲐᲚᲘᲚᲝ**“ „**ᲥᲐᲚᲡᲐ ᲕᲘᲡᲛᲔᲡ**“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ...

ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ.

ᲐᲑᲠᲐᲛᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ, ᲧᲘᲠᲕᲘᲓᲒᲐᲜ,
ᲬᲘᲜ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲘᲣᲨᲝᲮᲕᲓᲔᲑᲐ:
ᲐᲑᲠᲐᲛ, ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲯᲐᲛᲔ,
ᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘ ᲨᲔᲒᲔᲬᲔᲕ,—
ᲗᲣᲠᲛᲔ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ,
ᲛᲐᲡ ᲛᲐᲗᲮᲝᲕᲠᲐᲓ ᲔᲮᲕᲔᲜᲔᲑᲐ.
—ᲨᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲒᲐᲯᲐᲛᲝ,
ᲠᲐ ᲛᲐᲓᲚᲨᲘ ᲩᲐᲛᲘᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ:
ᲝᲥᲠᲝᲡ ᲥᲐᲛᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲢᲔᲘᲐ,
ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲐᲓ ᲓᲐᲗᲕᲡᲓᲔᲑᲐ,
ᲔᲒ ᲒᲐᲔᲘᲓᲔ, ᲮᲣᲠᲘ ᲯᲐᲛᲔ,
ᲡᲐᲓᲘᲚᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲒᲘᲠᲩᲔᲑᲐ.
ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲐ,
ᲛᲘᲡ ᲛᲔᲛᲪᲮᲕᲐᲠᲔᲡ ᲛᲘᲐᲓᲒᲔᲑᲐ:
—ᲛᲔᲛᲪᲮᲕᲐᲠᲔ, ᲮᲣᲠᲘ ᲛᲐᲯᲐᲛᲔ,
ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗᲐ ᲡᲣᲚᲘ ᲛᲮᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲡ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲡᲐ
ᲮᲘᲠᲡ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲡᲕᲓᲔᲑᲐ:
—ᲨᲘᲜ ᲨᲐᲛᲝᲑᲫᲐᲜᲓᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ,
ᲔᲒ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲔᲙᲐᲓᲠᲔᲑᲐ,
ᲝᲠᲘ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲡ ᲮᲣᲠᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ,
ᲡᲐᲓᲘᲚᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲝᲒᲕᲘᲠᲩᲔᲑᲐ.
—ᲛᲔ ᲮᲛᲔᲚᲐ ᲮᲣᲠᲡ ᲮᲝᲛ ᲕᲔᲠᲐ ᲕᲔᲯᲐᲛ,
ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲬᲝᲜᲘ ᲗᲣ ᲒᲔᲥᲜᲔᲑᲐ?
—ᲝᲪᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ
ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲩᲐᲛᲑᲐᲠᲓᲔᲑᲐ,
ᲗᲣ ᲘᲛᲡ ᲠᲐᲛᲔ ᲛᲝᲕᲙᲚᲝ,
ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲘᲬᲔᲓᲔᲑᲐ.
—ᲐᲛ ᲝᲪᲘ ᲐᲗᲐᲡ ᲡᲣᲚ ᲪᲮᲕᲐᲠᲨᲘ
ᲔᲠᲗᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲮᲓᲔᲑᲐ?
ᲛᲔᲛᲪᲮᲕᲐᲠᲔᲛ ᲣᲗᲮᲠᲐ:—ᲑᲐᲢᲝᲜᲝ,
ᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲠᲬᲘ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲛᲮᲕᲓᲔᲑᲐ.
—ᲑᲔᲠᲬᲘ ᲘᲣᲝᲡ, ᲛᲝᲘᲔᲕᲜᲔ,
ᲑᲔᲠᲬᲘ ᲘᲣᲝᲡ, ᲒᲐᲓᲔᲓᲓᲔᲑᲐ.

„მუვენიერი რაჯა“

იყო დვთისაგან ბძანება:
ქვეშ კრავები შეუჯდება,
ოთხი ქვაბი მოიწველა,
მეხუთეს თავს გადასკდება.
დაჯდენ, ტკბილათ ნური ჭამეს
ქრისტე დმერთი ილოცება:
—მეცხვარე, შენი ჩომბახი
ალვის ხეთ გადაგექცევა,
შენი ერთი სული ცხვარი
ათას სულათ გადიქცევა.
ორმოცი დღე დაუწყევლა,
აბრამს სტუმარი არ ხვედება.
აბრამი დადონებული
თვის მეუღლეს ეუბნება:
—გადი, **სარა**, გაიხედე,
თუ სტუმარი მედირსება.
იმის ცოლი კარს გამოვა,
შორს გაჭვრეტით იმზირება:
—ორი სტუმარი კი მოდის—
ჩიტის ტოლათ ძლიესა ჩნდება.
აბრამ დმერთი მოილოცა,
სამდვთოობას შეპირდება.
—ემადლობ ჩემ წილ მოწყალესა,
თუ სტუმარი მედირსება.
მაშინ დასცადა უფალმა,
ისევ მგზავრათ მოადგება.
—აბრამო, კარში გამოდი,
დვთის სტუმარი გედირსება.
ეს რომ აბრამმა გაიგო,
დედა მიწას დაესკვნება.
—შინ შამობძანდა, ბატონო,
ეგ სტუმარს არ ეკადრება.
რომელიც რომ კაი ხბო ჩუკვს
ამ აბრამის დაიკვლება.
სადამო ჟამი მოვიდა,
შინ ძროხა მოედინება.
ძროხამ ევირიდი დაიწყო,
ქრისტე დმერთი ეუბნება:
—აბრამ, აბრამ! გეუბნები,
ძროხა რაზე გიბდავდება?
—ეს ხბო მისი შვილი იყო,
ძროხა იმას მიჯავრდება.
გადასახა ქრისტემ ჯვარი,
ხბო კი ძუძუს მივრდება.
აბრამ იყო ასი წლისა,
იმას შვილი ენატრება,
დალოცვილი ქრისტე დმერთი
კიდევ მგზავრათ ეჩვენება:
—ამდენი შენი ცხოვრება,
არ ვიცი, ვიდას დარჩება,
სუფეელათვერი ბევრი გაქვს,
მაგრამ შვილი გენატრება.
ეს რომ აბრამმა გაიგო,
დედა მიწას დაესკვნება:
—ნეტავ შვილი გაჩნდებოდეს,
შვიდ წელს სადმთოთ გაიზდება.

„მშვენიერი რაჯა“

აბრამს ვაჟი გაუჩინა—
უგეოესი რა იქნება.
—შვიდ წელიწადს შენთვის იყოს,
მერე სადვოოთ გაიზდება.
შვიდი წლისა რომ შეიქმნა,
თვის დედაკაცს გაუტეხდება:
—დედაკაცო! დედაკაცო!
ე შვილი რადათ გვეზდება,
შვიდ წელიწადს ჩვენთვინ იყო,
ახლა სადვოოთ დაიკვლება.
დედას ელდა გულზე ეცა,
ჯავრით კრიჭა არ ეხსნება.
დედა წუხს და ბირს იკაწრავს,
დდე-დამ ტირილითა დნება.
—ეგ რომ სადვოოთ დაიკლასო.
ნეტა ჩვენ რადა დაგვრჩება?
—არ იქნება, დედაკაცო!
დვთის ბირობა არ გატეხდება.
სინას მთაზე რომ შევიდენ,
ეს ისაკი ეუბნება:
—მამაჩემო! მამაჩემო!
სამდვოოს თავი არ უჩნდება?
ჩვენ აქ ვიცდით, რას შეურებთ,
ქვაბი დუღს და წყალი შრება.
დახედე, ჩვენი აბრამი
თურმე დანას ელესება,
—მამაჩვენო რადაც იცი,
რატომ ბირად არ გეთქმება?
—რადა გითხრა, რა ვქნა, შვილო,
სისხლი შრება, გული ჭვნება
დაგკლა, აბა როგორ დაგკლა,
შვილი ძლიერ მენანება.
— უნდა დამკლა, მამაჩემო,
თორემ უფალს ეწეინება:
მაგრათ შემკარ, მამაჩემო,
საძრაობა არ მექნება,
კალთას სისხლი არ მოგეცხოს,
სამდვოოობა წაგიხდება!..
აბრამ გადასწევს ქოჩორსა,
ყელში დანა მიესვლება;
დანა მაგრათ გამოუსვა,
დანას ბირი არ ეკრება.
შვიდჯერ იჭექა შვიდმა ცამ,
ზედ ვარსკვლავი გადიყრება,
გადმოხედა ქრისტე ღმერთმა:
დახე, აბრამ რასა შვრება,
ერთი ცხვარი გადმოკიდა.
ათას ფერათ აყვავდება!
—ეს დაკალი, ეგ გაუშვი,
შვილი ფეხზედ დაგიდგება!..
ღვთის ვედრება—სამსახური
აგრე კარგად მოგიხდება!..
მაშინ გაჩნდა სამლვთოობა,
ქვეყანაზე მორიგდება,
ერთმანეთში მისვლა-მოსვლა
ყველას მაშინ გაგვიჩნდება!..

იობის ლექსი

იობ იყო ღვთის ნათლული,
ცოლი ჰყავდა მონა ღვთისა,
ჰყავდა შვიდი ვაჟიშვილი,
ხუთი ქალი—სახე მზისა!..
ყველა ერთს დღეს დაეხოცა,
ერთი აღარ დარჩა ძირსა..
იობი ღმერთს შემღეროდა:
ერთიც არ სთქვა ძვირი ღვთისა:
—ჭეშმარიტათ, ღვთის ბრძანებას
ჩემი ბედი არა ღირსა!..
მან მომცა და მან მიიღო,
ისევ მისად დაითვლისა.
ი დაწყევლილი ეშმაკი,
იქვე უზის მუხლის ძირსა!
— იობ გადაგწვია სახლი,
სარაია დასცეს ძირსა!..
ჯორ-აქლემი სულ დაგეწვა,
ნალ-ლურსმები ალმასისა;
მინდორს ცეცხლი მოეკიდა,
ფარა იწვის შენი ცხვრისა.
იობ ლხინი არ მოშალა,—
სამსახური ზევით ღვთისა.
— რახან ცხვრის ჯოგი დამეწვა,
სამღვთო გადახდილა ღვთისა!..
იობმა ღმერთს შემომღერა...
თავის უფალს მადლი მისცა.
იობ ისე გაღარიბდა
კარზე ვეღარ გამოდისა.
იობს მატლი დაეხვია
ათას ხუთას ფერადისა,
ზოგი ძვალსა ეჭიდება,
ზოგი რბილზე გადმოდისა.
ორი მატლი ჩამოვარდა,
იქ დაეცა მუხლის ძირსა,
აიყვანა—თავს დაისვა:
— შენი სარჩო აქ არისა!
რბილი ჭამე, ძვალი ხარი—
ჟამი ნუ გაქვს სიკვდილისა.
თურმე ისე გაღარიბდა,
ცოლი მისი ბედსა სცდისა:
თხოვნით ხალხში მოკრეფილ პურს
თითო ლუკმად მიაწვდისა.
ერთი პური კი იყიდა,
ერთი პური ოქროს თმისა.
წინ ეშმაკი შეეყარა
თურმე პურსაც გაუცვლისა,
როცა იობს მოუტანა,
იობ შეკრთა გულის თქმისა:
— ქალო, ეგ პური ვინ მოგცა
პური არის იუდისა,
ჩვენ რომ ეს პური შევჭამოთ,
ჩვენ დავრჩებით ეშმაკისა.
პური გატეხა იობმა.
იქვე ძაღლსა გადუგდისა,

შეჭამა ძაღლმა თუ არა,
ძაღლი იქვე გახეთქისა.
ი დაწყევული ეშმაკი
კიდევ უზის მუხლის ძირსა.
— იობ უფალს რა აამე,
სარჩო მოგცა ყოვლისფრისა!..
ამ ქვე რამღა აწყენიე,
რომ ყველაფერს გაგაცლისა.
იობმა ღმერთს შემომღერა,
თავის უფალს მადლი მისცა:
—ათასი ბევრი მაწვალოს,
მე ვერ ვიტყვი ღვთისა ძვირსა.
ეს სიტყვა რომ დაასრულა,
ეშმაკ ნაცრად დაიწვისა.
მაშინ ოთხი ანგელოზი
ხორციელათ შაისხმისა,
ფიცხლავ წამობძანდებიან,
აქ დაუჯდენ მუხლის ძირსა.
—იობ, დახე, არ გვეგონა,
არ იტყოდა ღვთისა ძვირსა.
ძველი მკვდრები გაგიცოცხლოთ,
თუ სხვა მოგცეთ სახე მზისა?
—არ იქნება, ბატონებო,
გაცოცხლება ძველი მკვდრისა!
თუ გაცოცხლდენ ძველი მკვდრები,
შეგვექნება შავი დღისა.
ამ შვიდ დღესა შვიდი ვაჟი,
უკრავ-უგინებლად მისცა,
სამოთხის კარი აჩვენეს,
გასაღები ხელში მისცა.
იობი, მისი ცოლ-შვილი
დღესაც სამოთხეში ჯდისა!
წაწყმედა და ცხონებანი
დღესაც იმას ეკითხვისა.

რაჭველეგის ამგოხეგა

რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ და ლომ-კაც ლეჟავას ღალატი რაჭის ერის წინაშე.

რაკი იმერეთ შორის აჯანყების ზარმა დარეკა, მის შემდეგ მთელი იმერეთის სამეფოს ერნი ერთ პირათ შეიქმნენ და ამ აჯანყებას გაჰყვნენ როგორც იმერლები, ისევე გურულები, მეგრელები, სვანელნი და რაჭველებიც. აქ ჩვენ ეხლა შევჩერდებით **რაჭველების** აღუსხვაზედ და ლომ-კაც ლეჟავას ღალატზედ, რომელმაც თანაშემამულეებს ვერ გაუწია კაი სამსახური და ადვილათ უღალატა და გასცა მეამბოხეთა მეთაურნი.

აჯანყების, ანუ ამბოხების დროს,

იმერლებთან ერთად, რაჭველებმაც დიდი გმირობა გამოიჩინეს რუსის მთავრობის ბოროტების წინაშე და ამათაც დიდის გმირობით დაიწყეს ბრძოლა რუსეთის მთავრობის წინაშე. რაჭველები, როგორც მთიან ადგილების ერი და მასთან ჯანით და გონებით საღნი და არც დიდგული და ამპარტავანნი, რუსის მთავრობის წინაშე სასტიკათ იბრძოდენ. მთავრობას ესენი დიდ ზარალსაც აძლევდენ. ბევრჯერ გამორეკეს რაჭველებმა რუსები რაჭიდამ თავად იაშვილების ხელმძღვანელობით.

რაჭველების ასეთმა მამაცობამ სასტიკათ გააბრაზეს როგორც ქუთაისის ახალი გუბერნატორი, ისევე საქართველოს მთავარ-მართებელი და ამიტომაც დიდის სასტიკის ზომით და სამხედროს ძალით ჯარი იქმნა რაჭაში გაგზავნილი. რუსეთის ჯარი მალე და მარდათ შეუდგა რაჭის გზას. ამათ მალე მიაღწიეს რაჭის საჯღვარზედ, ამ დროს აქ მათ ტყვეთ ჩაუვარდათ ხელში იმერეთის აზნაურის შვილი ლომ-კაც ლეჟავა.

ლომ-კაც ლეჟავა რაჭაში 1820 წ. იყო აჯანყების მეთაურთაგანი, მასთან გამბედავი და სახელოვანი ვაჟკაცი, დიდი ერთგული იმერეთის აჯანყების მეთაურებიდ და ამიტომ ასეთი კაცის დაკარგვა იყო დიდი უბედურება მთელის იმერეთისათვის ნამეტურ ამ დროს რაჭისთვის, რადგანაც იგი დაჭერილ იქმნა რაჭის გზაზედ და ისიც რუსეთის გააფთრებულის ჯარისაგან, რომელთაც არ დაინდვეს და დაჭერილი ლეჟავა დასაჯეს და კინალამ ცოცხალი აწამეს კიდეც. წამება მაშინ რუსეთის მთავრობის ხელობა იყო.

ლომ-კაც ლეჟავას დაჭერამ რაჭველებზედ ერთობ ცუდი შედეგი იქონია. ამ გარემოებამ ისე იმოქმედა, რომ რაჭველები თითქმის სულითაც კი იქმნენ დაძაბუნებულნი. ამ გარემოებამ რუსებს ისე მოუწყო საქმე, რომ მათ მოკლე დროის განმავლობაში, თოფ-ზარბაზნების ძალამ დაიმორჩილა აჯანყებული რაჭველები. მალე ყოველივე დადინჯებულ იქმნა და მოსპობილ. ამის შემდეგ ერთი ნაწილი რუსის ჯარისა ქუთაისში დაბრუნდა და ერთი ნაწილი კი შიგ რაჭაში დარჩა.

მცირე ხნის შემდეგ, ქუთაისის გუბერნატორმა რაჭაში გაგზავნა ჯარი და მათ მისცა ნება, რომ წადით თქვენ და მთელი რაჭის სოფლები დაწვით და მოსპეთ ისე, რომ იქ აღარასფერი დარჩესო, ნადგური ექმენ იყოსო. ასეთი მხე

ბისათვის რუსის ნადირი ჯარი მალე გაუდგა რაჭის გზას, ამათ დროითაც მიაღწიეს რაჭას, მაგრამ ამათ რაჭაში ხელის გაშლა აღარ მოუნდათ, რადგანაც რაჭაში დატოვებულ რუსის ყაზახ სალდათებს თავიანთ ნებით უკვე წინათვე დაეწყოთ რაჭველების სოფლების დაწვა, მათი ქონების ტაცება და მასთან ხალხის დარბევაც, რუსის სალდათები თურმე აი რას შვრებოდენ იმ დროს ხალხს როგორ აწიოკებდენ, როცა რომელიმე სოფლისთვის ცეცხლი უნდა წაეკიდებინათ; ქალებს თვალყურს ადევნებდენ და ძალადობით იტაცებდენ, მიჰყავდათ ჯარში და იქ ნამუსს ხდიდენ და მერე რამოდენიმე დღის შემდეგ ანთავისუფლებდენ.

კაცებს იჭერდენ და სცარცვავდენ, ვისაც ფული არ ჰქონდა, იმათ ქამარსაც კი ხსნიდენ წელიდან, ჯიბიდან უბრალო დანასაც კი აკლიდენ; ბევრს ტანთ-საცმელსაც კი ხდიდენ.

მოხუც ქალებს რომ იჭერდენ, იმათ მარტო ნივთებს ართმევდენ და უშვებდენ გაცარცულებს.

იყო ი'ეთი შემთხვევები, რომ ჯარისკაცებმა მღვდლებიც კი დაიჭირეს და გაცარცვეს, ბევრს გულიდამ ვერცხლის ჯვრებიც წაართვეს.

სხვათა შორის ბალღებსაც კი იჭერდენ და სცარცვავდენ, თვით სათამაშო ნივთებსაც კი ართმევდენ.

ვისაც კი ნახავდენ მგზავრებს, ნამეტურ ცხენით მიმავალს, იმას უსათუოთ ცხენს წაართმევდენ. ვინც ცხენში 100 მანეთს მისცემდა, იმას ცხენს არ ართმევდენ.

სოფლელებს და მგზავრებს ართმევდენ ცხენებს, ძროხებს, თხებს, ცხვრებს, ერთი სიტყვით ყველაფერს.

იტაცებდენ ქათმებსაც კი, ბატებს, ინდოურებს და ყველაფერს, რაც კი ჰქონდათ სახლებში ფრინველი, ან ოთხფეხი საქონელი.

იტაცებდენ ლოგინს, სახლის ავეჯეულობას, წაღების დროს ხალხს ეტყოდენ: სულ ერთია ცეცხლში დაიწვის, თქვენ არაფერი დაგჩებათ. ხალხს ასე ანუგეშებდენ ქურდი ჯარისკაცები და მცარცვავნი.

სხვა ბოროტებას ჩვენ აღარ მოვსთვლით, ვიკმაროთ ეს. ამგვარათ, რუსის ჯარისკაცებმა დაამხეს და აიკლეს მთელი რაჭის სოფლები, რაჭის ერი. რაჭაში ქრისტიანის ჯარისკაცებმა ქმნეს ისე, რაც თათრის ჯარისკაცებს არას დროს არ ჩაუდენიათ ასეთი ბოროტებანი და უსამართლობანი.

ასეთი დამხობა და დარბევა საზარალო იყო ნამეტურ იმათთვის, ვინც ბრძოლაში დაჭრილებიც იყვნენ, ავათმყოფნი და რომელნიც სახლში იწვნენ, წყეული და ბოროტი მხეცი ჯარისკაცები ამ საბრალოებს თავს სჭრიდენ. ასე უხდიდენ სამაგიეროს ისეც დაცემულთ და განადგურებულთ თვით რუსის ჯართაგანაც. მთავრობამ მიაღწია საწადელს და ყოველისფერი დაჯაბნა, ამის შემდეგ მათ ისურვეს დამნაშავეთა გასამართლება და სიკვდილით დასჯა. ამათი სამართალი მალე მოხდა, სხვათა შორის, ლომ-კაც ლეჟავას მიუსაჯეს დაღრჩობა და მის ცოლშვილსაც ციმბირში გადასახლება.

ამ დროს ლეჟავა იყო 27 წლის ვაჟ-კაცი. დახრჩობის გადაწყვეტილებამ თურმე ლომ-კაცს ლეჟავაზედ ერთობ ცუდათ იმოქმედა; ეს გარემოება მას მთავრობამაც კარგათ შენიშნა, ამიტომ მას მიუჩინეს სხვადასხვა ოფიცრები და შესყიდული ქართველი ჯაშუშები, რომელებმაც ლეჟავას დაუწყეს ქადაგება, რომ რათ გინდა, რომ შენ დაგახრჩონ, ან შენი ცოლშვილი ციმბირში წავიდნენ. შენ ილაპარაკე სწორეთ, სთქვი ყველაფერი და დაღრჩობასაც ასცდები და შენი ცოლშვილიც გადარჩება ტანჯვას, ციმბირში წასვლას.

ასე დაუწყეს ლომ-კაც ლეჟავას მთავრობის კაცებმა ლაპარაკი და მათ ასეთმა გველურმა კილომ. ეს გმირი კაცი ლეჟავა მალეც მოხიბლეს. ეს არ არი გასაკვირველი, ვინაიდგან ისეთ კაცებს, რომელთაც სხვადასხვა პირთა საიდუმლეობის გამოტეხის ხელობა ჰქონდათ მათ ლომ-კაც ლეჟავაზედ, ისე იმოქმედეს და ისეთი გაიძვერობა ქმნეს, რომ იგინი თავიანთ ენით მალე დაიმორჩილეს ლეჟავა, იგინი ისევე ხ-ბლავენ სხვა დაპატიმრებულებსაც, ნამეტურ იმათ, ვისაც სიკვდილი ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამიტომაც ამ წყეულებმა მალე მოხიბლეს გმირი ლეჟავა და დაიყოლიეს ყველაფერზედ მეგობარია და ამხანაგი ღალატსა და გაცემაზედ.

ვიტყვით აქ კიდევ აი რას: ამ პირებს ლაპარაკის დროს, თავიანთ ლაპარაკს ყოველთვის დარიგების კილოს აძლევდენ და თანხმობის გამოცხადებისათვის იგინი ელაპარაკებოდნენ ასე: ასეცე ელაპარაკეაოდენ ლომ-კაც ლეჟავას: „შენ მხოლოდ სწორეთ ილაპარაკე, ამით შენ არავის ცოდვას არ დაიდებ, შენ სიმართლე ადვილარე, ტეუილს ნუ ილაპარაკებ“,

ასეთის საუბრით და ეშმაკურის კილოთი იგინი ყოველთვის ხიბლავდენ და ასწავლიდნენ გამცემლობას და მეგობარ-

თა, ძ^ათა და ამხანაგების ღალატს, ჯაშუშობას.

ასე და ამ გვარათ, ამათ მოხიბლეს და მოშხამეს ლეჟავა.

იტყვიან: „სული ტკბილიაო“. ლეჟავასაც მთავრობის ყალბის ლაპარაკით და დარიგებით სულის სიმდაბლე შეეპარა, განიზრახა სწორეთ ლაპარაკი, ვითომც სწორეთ ლაპარაკი ცოდვა არ იყო. ასე შეასმინეს მას. ეს სწორე ლაპარაკი კი გამოვიდა მეგობართა ღალატი. ბევრი მოტყუილების შემდეგ ლეჟავამ პირობა მისცა, რომ ყველაფერს გეტყვითო, სულ სწორეთ ვირაპარაკებ, ტყუილს არასფერს ვიტყვით. ვითომ ეს რასაც იტყოდა ის ცოდვა არ იქნებოდა, ის დანოსათ ანუ დაბეზღებათ არ ჩაეთვლებოდა, მერე იგინი ისე ოსტატურათ მოექცნენ, რომ ლეჟავას ყველაფერი ათქმევინეს. აი ესეც მისი ნალაპარაკევი, რაც შემოწმებულია სწორეთ:

იმერეთის ერის აჯანყებას ჰყავს თავის მოწინავე კაცე^ი, ესენი არიან ის პირნი, რომელთაც ითავეს აჯანყების მოხდენა და საქმის დაწყება. ამ აჯანყებისათვის მეთაურებმა პირობის წერილიც შეადგინეს, ანუ „ღრამატა“. ამ ღრამატაზედ ხელი უწერიათ ბევრს და მეც მიწერია. ის ღრამატა მე მამცეს, რადგან მე ისეთი გავლენა მქონდა რაჭველებსა და მთის ხალხზედ და თუ საჭირო იქნებოდა მაშინ იმ ღრამატას მთ. ს ერს და რაჭველებს ვაჩვენებ. თქვენ ეს ღრამატა რომ წაიკითხოთ, იქ ყველას შეიტყობთ და სცნავთ, თუ ვინ იყო აჯანყების დამწყები და თქვენი წინააღმდეგი. ეს ღრამატა ჩემს ცოლს გადავეცი. თქვენ მე მოგცემთ ერთს ნიშანს, იმას მიუტანეთ და იმ ღრამატას ის მოგცემთ, მაგრამ ჩემი ცოლშვილი დაპატიმრებულია, თქვენ იგინი ისე უნდა მოახერხოთ და ნახოთ, რომ არავინ გაიგოს თორემ თუ შეიტყეს, იმათ მაშინვე დახოცავენ.

მთავრობამ გამოართვა ნიშანი ლომკაც ლეჟავას და ამათ მოახერხეს შესყიდულის კაცებით და ლეჟავას ცოლთან მართლაც საიდუმლოთ მიაღწიეს, ნიშანი გადასცეს და მასთან სხვადასხვა ამბებიც უამბეს ქმრისა.

ლეჟავას ცოლი მოიხიბლა და ამანაც ნიშანი მალე მისცა მთავრობას, ანუ ღრაშატა. ეს ჩაიგდეს ხ. ლში და მაშინათვე გაუდგენ გზას. მიიტანეს ღრამატა წაიკითხეს და იქ აღმოსჩნდა სულ 70 კაცი რაჭის და იმერეთის თავადის შვილებთაგანი, რომელთაც ღრამატაზედ ხელი ეწერათ. მთავრობამ რაკი ეს ამბები სცნა. ამის შემდეგ იგინი მიეცნენ ფიქრებს, თუ ეს პი-

რები როგორ დაეჭირათ. უძნელდებოდათ ეს საქმე მიტომ უფრო, რადგანაც ამ პირებში ერიენენ ბევრნი ისეთნიც, რომელნიც რუსის სამხედრო სამსახურში იყვნენ და რუსის ხელმწიფის ერთგულებაზე ფიცით ჰქონდათ მიცემული.

რამდენიმე ხნის შემდეგ აღნიშნულ პირებს დაპატიმრებაც დაუწყეს, ამ დაპატიმრებისათვის მთავრობამ იხმარა დიდი ბოროტება და გველობა. ამათ მოაწყეს ისე საქმე, რომ აღნიშნულ პირებს მთავრობა მოწვევით იბარებდა მოსალაპარაკებლათ. ესენიც მიამიტათ და უეჭვოთ მიდიოდენ დანიშნულს ალაგს მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ.

დაბარება ისე ოსტატურათ იყო, რომ მათ სულ ეჭვიც ვერ აიღეს, თუ რა იყო მიზეზი ასეთის დაბარების. ყველა ესენი მთავრობის უფროსს მიამიტათ ესტუმრენ ქუთაისის ახლო ლაგირში. როცა ყველა დაბარებულები ერთ ალაგას მოგროვდენ, მაშინ მათ გარს რუსის ჯარი შემოარტყეს და მასთან აუწყეს, რომ თქვენ ყველანი დაპატიმრებულები ხართო. ესენი ამაზე ძლიერ აღელდენ და პროტესტი განუცხადეს სასტიკათ.

როგორ, ჩვენ მოსალაპარაკებლათ დაგვიბარეთ და ეხლა აქ კი თქვენ ჩვენ გვაპატიმრეთ, ეს არ არის საკადრისი. ესენი ამ სიტყვებს ხმა მაღლა ყვიროდენ, მათი მეთაურთაგანი თავ. ლევან წულუკიძე ისე აღელდა, რომ ამან ხმალი იშიშვლა და თან დაიწყო ყვირილი: „ან სიცოცხლე და თავისუფლება, ან სიკვდილი, სულ ერთიაო“. ამას მოჰყვა ახალი შეტაკება რუსის ჯართან. თავ. მერაბ აბაშიძე, რომელიც მეთაური ყოფილა, ხმალ-შიშველი ჯარის ალყიდამ გამხტარა და ჯარის უფროს და თვის მომტყუებელს თავ. გორჩაკოვს მივარღნია ხმალ-და-ხმალ და მოკვლა სდომნია მოტყუილებისათვს. მაგრამ სამი ნაბიჯის მანძილზედ, იგი შეკავებულ იქმნა ხლმის დაკვრით. ამ დროს მერაბ აბაშიძე ისე დასჭრეს, რომ თავ-პირიდამ ტყავი ჩამოაცალეს და ასე დაიმონეს. დანარჩენები ზოგნი ბრძოლაში დაიჭრნენ, ზოგნიც დაიხოცნენ.

ასე და ამ გვარათ დაეცნენ ესენი, ანუ ძლეულ იქმნენ. დაიხოცნენ და დაიჭრნენ არა მარტო ისინი, რომელთაც ღრამ-ტაზედ ხელი ჰქონდათ მოწერილი, ასეთების გარდა სხვებიც იქმნენ მრავლათ დაჭერილები, ვინაიდგან ესენი ზოგი ლეჟავასგან იქმნენ დაბეზღებული პირადის ცნობებით და ზოგნიც სხვათაგან.

ამათში უმეტესათ მოყოლებულნი ყოფილან რაჭის მცხოვრები თავად-აზნაურნი, დიდის გვარის და ოჯახის შვილ-

ნი. **იაშვილები, ჭაფარიძენი, წერეთლები, წულუკიძენი ყიფიანები და სხვები** ყველა ეს უბედურება მომხდარა იმ მეამიტობის გამო, რომ ლომ-კაც ლეჟავას სულ მართალი ამბები ულაპარაკნია და ამ მართალის თქმით დაუღუპავს მრავალნი თავის მოძმენი და ამხანაგები. ეს გმირი კაცი ლეჟავა მავნე კაცებმა ისე შეშალეს და ისეთ მოღალატე კაცათ გარდაქმნეს, რომ ლსაც სულ აღარასფრის დარდი აღარ ჰქონდა და აღარც სცხვენოდა ვისიმე, რომ მან თავის ძმანი გასცა და უღალატა ქვეყნის საქმეში. ის იმითი იმშვიდებდა გულს, რომ მე სულ ნართალი ვილაპარაკეო, ჭორი, ცილი არავის მოუგონეო. ამით შოშმინდებოდა იგი და იმშვიდებდა გულსა.

ამით ლომ-კაც ლეჟავამ მთავრობას დიდი სიკეთე უყო, მიტომაც გამარჯვებულმა მთავრობამ დააპატიმრა რაჭველი ყველა დამნაშავენი, იგინი გაასამართლეს და ექვსი თვის განმავლობაში ზოგი დახვრიტეს და ზოგიც ციმბირში გადაასახლეს.

ასე და ამ გვარათ დამარცხდა რაჭა და ამ ერთათ-ერთის კაცის წყალობით დაემხო და დაიქცა ბევრი რამ რაჭველების ცხოვრების და ქონების.

დავსძენთ აქ შემდეგ აღსანიშნავ გარემოებას:

რაჭველი ხალხისთვის ქრისტიანი კაცს დახრჩობა 1820 წ. პირველი გაგონება იყო და ამიტომ იგინი დიდათ უკმაყოფილნი გახდნენ ქრისტიან რუსის მთავრობის სამართალზედ და დიდათ ემდურებოდენ, რომ რაჭაში და ისიც რაჭველი კაცის დახრჩობა არას დროს არ ყოფილა და ეს რუსის მთავრობამ რათა ქნაო. რაჭველები უკმაყოფილონი იყვნენ იმაზედაც დიდათ, რომ დახვრეტილებს და დახრჩობილებს არ აკმარეს ესეთი სასჯელი და მათი ცოლ-შვილებიც ციმბირში გადაასახლესო. ესეც პირველი მაგალითი იყო 1838 წ. და ამიტომ ამისთვისაც უფრო დიდათ სწყევლიდნენ რუსეთის მთავრობის უსამართლობას.

ზ. ჭიჭინაძე.

რაჭის ერისთავეგის ამგავი

„საქართველოს ცხოვრებით“, ნ. დადიანის „იმერეთის ისტორიით“ და ზეპირის ცნობებით.

რაჭის ერისთავების უსიამოვნებას იმერეთის მეფე სოლომონთან აქვს საინტერესო ისტორია და მასთან იგი არც ახალი გახლავსთ, არამედ სოლომონზედ ბევრათ ადრეა დაწყებული.

საჭიროდ ვრაცხთ, რომ ამ უსიამოვნობის გამო მცირე რამ ცნობები მოვიყვანოთ სოლომონ მეფის მამის ალექსანდრე მეფის ცხოვრებიდამაც, რაც მოყვანილია „საქართველოს ცხოვრების“ პირველ წიგნში ვახუშტისაგან.

„ხოლო ალექსანდრემ დაიპყრა იმერეთი გარდა რაჭის ერისთავისა“.

ეს ცნობა კმარა. იმის საფუძვლათ ვიქონიოთ სახეში, რომ რაჭის ერისთავის და სოლომონ მეფის შუღლს აქვს ძველი, ქართული მამაპაპური ისტორია. ეს ისტორია გახლავსთ ქართველი ერის საუნჯე და სიმდიდრე, რის საშუალებითაც, ალექსანდრე I მეფის დროს, საქართველოს ერთი სამეფო გასქდა სამ სამეფოთ და ხუთ სამთავროთ. მაგრამ

ახლა ამ მიზეზების განხილვას არ გავყვებით, ჩვენ გადავალთ მხოლოთ სოლომონ იმერეთის მეფის ამბავზედ.

სოლომონ მეფე იმერთა ტახტზედ ერთობ ადრე ავიდა. იგი მაშინ 18 წლის იყო. ამ დროს იმერეთში ოსმალოს დიდი ძალი ჯარი ჰყავდა შემოყვანილი და ამ ჯარებს ოთხი ფაშა და ერთიც ვალი ფაშა ხელმძღვანელობდა.

სოლომონ მეფემ თავის გამეფების პირველ წელსვე ისურვა ოსმალების განდევნა იმერეთიდამ და სრული თავისუფლება.

ამიტომ სოლომონ მეფემ თავის დიდებულებთა შორის, სანდო პირები გარს მოიკრიფა, მათთან ითათბირა და ბოლოს გადაწყვიტა თვისი მოსაზრება ოსმალთა განდევნის შესახებ. ვიდრე გადევნა მოხდებოდა, მანამ ისურვა სოლომონ მეფემ და თვის ქვეშევრდომ მთავრებს მიმართა: თვისი დიდებულები გაუგზავნა და დაავალა ყველა მათ, რომ თვის საბრძანებელში ჯარი შეეკრიბათ და მეფისთვინ ოსმალთა განდევნაში დახმარება მიეცათ,

„მშვენიერი რაჭა“

მთავრებთაგან ყველასაგან თანხმობის ცნობა მოუვიდა სოლომონ მეფეს. რაჭის ერისთავმა აცნობა: ცოტა ხანი მაცადეთ და ჯარს უსათუოდ შევკრებ რაჭაშიო. ასეთის ცნობებით სოლომონ მეფე სიხარულით აღივსო. ამან ველარ მოითმინა და ოსმალთა ერთ ფაშას დაეცა და დაამარცხა ისე, რომ ეს ფაშა თავის ჯარით ფოთის გზას გაუდგა ოსმალეთში წასასვლელათ.

ამ ფაშის გასვლის შემდეგ იმერეთში დარჩა კიდევ სამი ფაშა და ერთიც ვალი ფაშა. მეფემ იფიქრა: ამ სამს ფაშასაც ჩემის მთავრების ჯარის დახმარებით გავაძევებო. ამ დროს, აი რა მოხდა იმერეთში: ფოთიდამ რამდენიმე იმერთ დიდებულები იმერეთში მოდენილან, ამათ გზაში შეხვედრია იმერეთიდამ გაძევებული ოსმალოს ფაშა თავის ჯარით, რომელთაც თურმე თან იმერეთიდამ ტყვეებიც მიჰყვანდათ ოსმალეთში. ეს ამბები იმერთ დიდებულებმა მეფე სოლომონსაც აუწყეს. აქ ამათ მალე შეიტყეს სოლომონ მეფის გადაწყვეტილება ოსმალთა გაძევების შესახებ. ამიტომ ესენი მალე გაბრუნდნენ უკან, ჭალადიდთან დაეწივნენ ოსმალთ. ესენი დაამარცხეს, იმერთ ტყვეებიც წაართვეს და გაანთავისუფლეს, შემდეგ ამის ეს დიდებულნი იმერეთში დაბრუნდნენ გამარჯვებულნი.

ცნობა არის, რომ იმერთ დიდებულთა გამარჯვება და ოსმალთ განდევნა, ლევან აბაშიძემ, თვით სოლომონ მეფის დედის ძმამ, ოსმალოს ვალი ფაშას შეატყობინაო.

მცირე ხნის შემდეგ აბაშიძის ამბავი სოლომონ მეფემ შეიტყო. მაგრამ მეფე ჩუმათ იყო და არავის არას ეუბნებოდა.

მალე მოხდა რომ სოლომონ მეფემ ისურვა რაჭაში წასვლა და რაჭის ერისთავის პირადათ ნახვა და დარწმუნება მას ზედ, თუ იგი რამდენათ მართალი იყო თავის დაპირებაზედ, მეფეს ხომ არ ატყუილებდა. სოლომონ მეფე რაჭის ერისთავმა დიდის მეფურის დიდებით მიიღო. დიდი პატივი და თავაზი გაუწია, მეფე ერისთავთან რამდენსამე დღეს დარჩა.

ამ დროს, რაღაც ეშმაკობით ნაქერალაზედ ვიღაც მტრები გამოჩნდნენ. ეს რაღაც საიდუმლეობა გახლდათ. ამ თავდასხმის ამბავი მეფე სოლომონსაც აუწყეს. მეფემ ისურვა მათზედ გალაშქრება, მაგრამ რაჭის ერისთავმა არ ქმნა, მეფეს მოახსენა:

„მშვენიერი რაჭა“

თქვენ შინ წაბრძანდით, მე გავდევნი მტერს ნაქერალიდან და მის მერე მე ჩემის ჯარით თქვენთან გიახლებით. უსათუოთ მოვალთ. მეფე დაიმედდა. რაჭის ერისთავს მადლობა უთხრა და თავის სახლისაკენ გამობრუნდა დაიმედებული. მცირე ხნის შემდეგ რაჭის ერისთავი თავის ჯარით ეწვია მეფეს. ამით გაილაშქრეს ოსმალთა ფაშებზედ და ორი ფაშაც გააძევეს ჯარით. ასეთის გამარჯვების შემდეგ სოლომოს მეფემ დიდი ზეიმი და ნადიმი გადაიხადა. რაჭის ერისთავებსაც დიდი პატივი სცა. ეს პატივისცემა თურმე ისეთი ბრწყინვალე იყო, რომ რაჭის ერისთავის შვილები გაჰკვირდნენ თურმე და მამას მიმართეს და ჰკითხეს ასე:

მეფე დიდს პატივს გვაძლევს და ჩვენ როგორღა უნდა გადუხადოთ სამაგიეროვო.

ამიტომ ერისთავი წარუდგა მეფე სოლომონს და მოახსენა შემდეგი:

ბატონო მეფეო! მე აღვსილი ვარ თქვენის სიკეთით, ამიტომ მე მოგვართმევთ ჩემს საერისთავოს, ციხეებს, კოშკებს, ქალაქებს და ყოველივეს თავის სისრულით, ხოლო ამის სანაცვალოთ თქვენც მიბოძეთ რამე საცხოვრებელი, რომ მეც შევიძლო აქ თქვენს ახლო ცხოვრება.

მეფე სოლომონმა ეს წინადადება დიდის პატივისცემით და სიხარულით მიიღო. ამიტომ როსტომ ერისთავს მადლობა უთხრა და მასთან უბოძა მას მამული სოფ. გეგუთში, თამარ მეფის ნასახლარით. ასევე უბოძა სოფ. პატრიკეთი და სხვა სოფლის მამულებიც.

ამის გარდა რაჭის ერისთავს უბოძა ვეზიროობა, ამის შვილებს გიორგის—სარდლობა და მეთოდეს მდივნობა. ამის გარდა სხვასაც ბევრ რამ წყალობას დაჰპირდა.

ამის შემდეგ რაჭის ერისთავი გიახლათ რაჭაში და მეფეს დაჰპირდა, რომ როგორც მოვაგროვებ ჯარს თუ არა და თქვენი ბრძანებაც მომივა, მეც მაშინათვე გიახლებითო. ასეთის დიდის მადლობით და დაპირებით გამოეთხოვა ერისთავი მეფე სოლომონს.

რამდენიმე დღის შემდეგ სოლომონ მეფეს ეჭვი შეეპარა ერისთავზედ და დაიწყო ფიქრები. ბოლოს ველარ მოითმინა და თავის ერგულ პაპუნა წერეთელს უთხრა ასე:

ჩემო პაპუნა! ერისთავმა ვგონებ ჩვენ დაგვატყუილა და თავი მით დაგვაძრო. წერეთელმა პასუხი უგო:

არა მგონია ბატონო, მაგას როგორ იკადრებს, ამდენი პატივისცემის და სიკეთის შემდეგაო.

ამის შემდეგ, რამდენიმე დღისა მეფე სოლომონს ეწვია ერთი რაჭველი კაცი და ერისთავის წერილი მიართვა. მეფემ გახსნა, წაიკითხა და სახტად დარჩა. შემოიკრა თავში ხელი და მალე იგი გადასცა პაპუნა წერეთელს და უთხრა:

ჩემო პაპუნა, აკი გითხარ, რომ ერისთავმა დაგვატყუილა თქო. აბა წაიკითხე ეს წერილი და ნახე რას იწერება სხვათა შორის წერილში ერისთავი ხმაროობდა ასეთ სიტყვებს: „შენ გინდა ციხეკოშკები ჩამომართო, მის მაგიერ ბარი ადგილები და მინდორ-ველები მომცე, რომ მერე მე მაზედ ვირიკავოო. ერთ ალაგას ასეთი სიტყვაც იყო:

„შენსას მოგელ შეგამკობ შენსა
ტანადობასა,
შენი უდასტურობით ჭრეგნი შენს
ბატონობასა“.

ამ სიტყვებმა და დაწერილმა მეფე სოლომონის წინაშე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეფე სოლომონი დიდათ დაღონდა და დადარდიანდა. ბევრი ფიქრების შემდეგ, იმ დასკვნამდი მივიდა, რომ რაჭის ერისთავის მტრობა მოესპო და ეგები რამე ოსტატურის მოხერხებით და მეგობრებით დაეჭირა იგი. ასე და ამ გვარათ მეფემ ისურვა როგორმე დამეგობრება და მით მისი დამორჩილება.

მეფემ ბევრის ფიქრების შემდეგ დაიბარა თავის ძმა გენათელი, იოსები და სთხოვა რაჭის ერისთავის წინაშე შუაკაცობა და როგორმე შერიგების ჩამოგდება. გენათელმა ეს წინადადება დიდის პატივისცემით მიიღო და მასთან აკურთხა მეფის დიდებული განზრახვა და დიდის სიხარულით იკისრა ესეთი კეთილი დავალება მეფისა.

მოხდა ისიც მალე, რომ გენათელი თავის კრებულით გიახლათ რაჭაში. ეს წვევა რაჭის ერისთავმაც დროით შეიტყო და იგიც შეუდგა გენათელის მიღების სამზადისს. მართლაც გენათელი შევიდა რაჭაში. ის მიიღეს ისეთის პატივისცემით და თავაზით, რომ ასეთი მაგალითი მას არსად ენახა. გენათელს მთელი რაჭის სამღვდელოება დახვდა ბარაკონთან.

მას დახვდენ ხატებით, დროშებით, ზარის რეკით და გალობით. ერისთავის მეუღლემ გენათელს ძვირფასი ოქროს ხატი მიართვა, მოლოზნები გენათელს ვარდს უფენდენ წინ. გენათელის ასეთი დიდებული მიღება მოხდა მით უფრო, რადგა-

ნაც იგი პირველი გენათელი გახლდათ. მეორე: სოლომონ მეფის ძმა და გვარათ ბაგრატიონი და მესამე, გენათელს რაჭა არ ენახა.

გენათელი ერისთავის სახლში რამდენსამე დღეს დარჩა და ილაპარაკა და იქადაგა ერთობასა და მორიგებაზედ. ერისთავი გენათელის დავალების თანახმა გახდა, ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცა, რომ მე მაშინაც არ მქონდა გულში მეფე სოლომონის მტრობა, როცა მე ვეახელ მათს სასახლეშიო. გენათელმა ერისთავს მეფესთან წამოსვლა სთხოვა და პირადათ ლაპარაკი მორიგებაზედ, მაგრამ ერისთავმა ეს არ ქმნა. გენათელს აუწყა:

— ჯერეთ თქვენ წაბრძანდით, მეფეს მოახსენეთ ჩემი წადილი და სიხარული და მერე ვეახლები მეფესაო.

შეისმინა ეს დავალება, იგი რაჭიდამ გაემართა და მეფე სოლომონს მალე ეახლა. ყველაფერი მოახსენა დაწვრილებით.

რამდენიმე ხნის შემდეგ რაჭის ერისთავიც ეახლა მეფეს თავის შვილებით. და

მეფემაც დიდი პატივი სცა ერისთავს, ერთ დღეს მეფემ ერისთავი თავის შვილებით საღორიის ტყეში სანადიროთ გაიწვია. ერისთავიც გაჰყვა თავის შვილებით. აქ იშოვნა მეფემ მარჯვე დრო და ერისთავი დაამარცხა თავისის შვილებით. ერისთავს თვალები დასთხარა და შვილებიც დაუხოცა. მერე თვალებ დათხრილი ერისთავი საჩხერის ციხეში დააპატიმრა.

მეფის სახლში დარჩენილიყო ერთი მცირე წლოვანი ბავშვი. მეფის სარდალმა პაპუნა წერეთელმა ამ ბავშვის მოკვლაც ისურვა. მაგრამ მეფემ არ ინება. მერე წერეთელმა უთხრა მეფეს: მოვკლათ თორემ ეკალზედ ვარდი არ ამოვაო. ამიტომ მერე ეს ბავშვი დააყენეს გახურებულ თორნეზედ თვალებით აყურებინეს და ამ გვარათ დესწვეს მას ცეცხლით თვალები.

აწინდელი რაჭის ერისთავები ამ თვალებ დამწვრის შთამომავალნი გახლავან, ასეთი სასჯელის მიყენების შემდეგ, მთელი რაჭის ერი დაირაზმა და ამათ ისურვეს ერისთავის განთავისუფლება ციხიდამ ეს სამზადისი სოლომონ მეფემ შეიტყო. ამიტომ ამან ისურვა თვალებ დათხრილის ერისთავის განთავისუფლება.

„მშვენიერი რაჭა“

უბრძანა თავის ერთგულს პაპუნა წერეთელს, რომ რაჭის ერისთავი გაანთავისუფლეთო. ამანაც გაანთავისუფლა იგი და ასე დასჯილი და თვალებ დათხრილი გაისტუმრა თავის დაქცეულ ოჯახ-ბარაკონში.

სადაც მას ამ დროს წინ შეხვდა მასგან თვალებ დათხრილი მისი ცოლის ძმა იაშვილი და შემდეგი სიტყვა უთხრა: „შენც წახდი, მეც წამახდინე ქრისტე ადსდგა გიხარდესო“. ეს იყო აღდგომა დღეს.

რაჭის ერისთავის წამება გენათელმა შეიტყო. ამიტომ იგი ეახლა მეფე სოლომონს და დასწყევლა ასე: ღმერთმა დაგწყევლოს შენდა შენი მეფობაც, თუ მეც ისე არ დამსჯო, როგორც თქვენ დასაჯეთ ერისთავი და მით ფიციც დაარღვიეთო,

მეფე სოლომონი გენათელის ასეთს წყევლაზედ დიდათ გაჯავრდა და გენათელს მიუგო:

— მე მოვსპე ჩემი სამეფოს მტერი და არა რაჭის ერისთავი. რაკი ასეა შენც მოგსპობ!

ამიტომ მეფე სოლომონმა ისურვა ქათალიკოზის განკვეცაც. მეორე დღეს გელათში წირვა იყო დანიშნული, ქათალიკოზი შეიმოსა, მას შემდეგ მოიღეს მას ზედ სამღვრო მსახურება, ნელ-ნელა ლოცვის დროს შესამოსი ახადეს და ბოლოს გაკრიჭეს და გააძევეს ქათალიკოზი ეკლესიიდამ.

ამ ამბების გამო ბევრნაირი სხვა და სხვა ვარიანტებიც არსებობს.

ზ. ჯ.

გამწარებული მოხუცი.

შვილებო, ამბავს მოგითხრობთ—
სასმენლად სატირელია,
თუმც წინათ არის მომხდარი,
მაგრამ არც ისე ძველია.
ვაჟკაცი ვიყავ ნაქები
მიჭრიდა მკლავი, ხელია,
მაგრამ უმართლო ცხოვრებამ
ბედი მარგუნა მწველია.
ვინ იყო ამის მიზეზი?
დიდი ბატონი ჩვენია.

უსამართლობით, ტანჯვითა
გულს გამიჩინა სენია.
მან დაგვილუპა ოჯახი,
მთლათ აგვადინა მტვერია,
დამიწიოკა, გაფანტა,
რაც მქონდა—ყველაფერია.

ბატონის კარზე ვიყავით
იმ დროში ყველა ყმანები:
ფარეშათ შინა მსახურად
მრავალ გზით განაწამები!
პირუტყვი გვჯობდა, რადგანაც
დანავარდობდა გარეთა
და ჩვენ კი, ბატონის კარზე,
ცრემლებსა ვღვრიდით მწარეთა.
ამ დროს ცხოვრობდა რაჭაში
ბატონი სულის მტერია,
გოგისა სახელ-დებული,
ავზნე თავადი, შტერია!

ბატონს მეც ვახლდი ფარეშათ
ერთგული, თავ-დადებული,
და ვასრულებდი საქმესა,
რაც მქონდა დავალებული.

სახლში კი მყავდა ბრმა ბიძა,
დედ-მამა მოხუცებული,—
არვინ ცხოვრობდა ჩვენ სოფლათ
იმათზე გაჭირვებული.

ბატონი ყველას ხედავდა,
არ შესტკიოდა გულია,
იტანჯებოდენ საწყლები:
ცხოვრებით დაჩაგრულია.
ერთ დღეს წარვსდექი ბატონთან,
ვთხოვე: — მამეცი ნებაო,
მინდა რომ მშობლებს მივხედო,
მან სთქვა: „არ შეიძლებაო!“
—მაშ ნება მაინც მიბოძე,
დროა, შევირთო ცოლია,
იგი მოუვლის მშობლებსა,
იქნება ჩემი ტოლია.
—რახან ეგრეა, შეირთე
მონავარდისა ქალია.
რომ გავათხოვო ის გოგო,
ეს არის ჩემი ვალია.
—არა, ბატონო, არ მინდა
ნამუს-ახდილი ქალია,
რავა მივგვარო დედ-მამას
გაწუწკებული რძალია?
—ვინ გააწუწკა, ეგეც ხომ
არ არის ჩემი ბრალია?
—ასე ამბობენ, თქვენგან ჰყავს
პატარა ბავში ქალია.

რაო? ეგ რა სთქვი სულელო
როგორ მიბედავ მაგასა?
თავლაში დაგატუსაღებ,
დაგაბამ ვირის ბაგასა.
გიბრძანებ, უნდა შეირთო,
მე მაქვს უფლება, ძალია!—
უარს ვამბობდი, თუმცა კი
შევნიშნე ცეცხლის ალია.
აჩრიალებდა თვალებსა,
გლეხების ოფლით მთვრალია,
არ შეუშინდი—რას ვარგა
კაცი მშიშარა, მხდალია!
კვლავ მოვახსენე:— ბატონო,
მიყვარს ქიტუნას ქალია,
გულში ჩამეჭრა მე მისი
მწველ სიყვარულის ალია!
— კარგი, შეირთე, მეც მასზე
დიდხანს მიჭირავს თვალია;
სურვილს არ შევცვლი იცოდე,
დღეს იყოს, გინდა ხვალია!
აქამდის მისი ბატონის
მე ხათრი მქონდა, რიდია,
აწ შევასრულებ განძრახვას,
სურვილი ჩემზე ჰკიდია.
არ დაივიწყო, გახსოვდეს,
პირველი ღამე ვისია,
მე ხორცს ვალაღებ, ვიხარებ,
შენთვის რა დასაკლისია.
თუმც ასე მითხრა ურწმუნომ,
შიში არ მქონდა მისია;
გულში ვფიქრობდი, არ იზამს,
რა მისი საკადრისია!
მაყრებით წაველ სიმღერით,
გადავიწერე ჯვარია.
სახლში მომყვავდა გოგონა,
ცხენები გვყავდა ჩქარია.
როცა მოვედით, იქ დამხვდა
ბატონი უმაძღარია,
შუალამისას მომიხტა,
მან შემოალო კარია.
მითხრა: ამალამ ჩემია
ეგ შენი მზე და მთვარეო!—
გული მამიკლა ვერაგმა,
შემასვა შხამი მწარეო
ვთხოვე; მომშორდ. გოგისა!—
ვაფიცე წმიდა ჯვარია,
ავღელდი, სისხლი ადუღდა,
ცხოვრება გავიმწარია!
ძალას მიმართა, მაშინ კი
ხანჯალი მოვიხმარეა,

„მშვენიერი რაჭა“

ვჰკარი გული გაუპე
ამოსდა სისხლის ღვარია!

ორდი გადავირბინე
ირი მთა და ბარია,
ში ჩაველ იქ ვლვარე
ულამ ცრემლთა ღვარია!

ს მოგვხედა უფალმა
ერსა თავისუფლება
ერიალდი ოჯახსა
გვარი შემხვდა მე სნება!

სისაწყლე სილარიბემ
ლამის გამწყვიტოს წელშია,
ვმუშობ მაგრამ ნაოფლი
მე არა მრჩება ხელშია!

ნეტავ მას ვინც რომ მახარებს
სიმართლე გაბატონდაო,
მშრომელი თავის ნაშრომსა
თვითონვე დაპატრონდაო!

1904 წ. ვ. კირვალიძე.

თფილისში არსებულ „რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების“ კომიტეტს.

ხელ ჩემს უფლებ-ლანძღვაში ათენებთ დღეს და ღამესა,
მე მოშიაობას მიკრძალავთ თქვენ ვეღარ ოკეთებთ რამესა,
არ იცი რისთვისაც სჩადიხართ ასეთ საქმეს!

ათი წელია რაც მებრძვით, ყველასთვის კარგის მნდომელსა,
წინ მელობებით ყოველგან, მარად ხალხისთვის მშრომელსა,
სინდის-სიმართლეს ღალატობთ, მდევნით სწორ გზაზედ მდგომელს

მაგრამ გახსოვდესთ მარად-ჟამს ყოველგან ყოველ მხარესა,
არ ჩამოაგდებთ ვერაფრით ზეციდან მზეს და მთვარესა,
დაბნელებთ წყვდიადით, სინათლით მოსილ არესა!

„რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის კულტურულ-ეკონომიური ზოგადოების“ თავმჯდომარე **ევგენი დვალი.**

[illegible] ...ოჯა-ლეიხუმ-სვანელთა [illegible]ის დამცველი რაზმი თავის

[illegible] ბ-პრეზიდიუმით:

დამფუძნებელი კრება რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის თფილისის დამცველ რაზმისა.

რიაშვილი, 7. ვ. წერეთელი, 16. ს. ოსელიანი, 28. ე. დვალი, 30. ნ. ჯაფარიძე, 31. ძე, 34. ვ. სილაგაძე, 39. ი. ბეტრიაშვილი, 41. ი. კოკუაშვილი, 42 კ. დემეტრაშვილი, ძვილი, 15. ე. სილაკაძე, 17 ს. თვალჭრელიძე, 22. ი. ტორაშელიძე, 23, ლ. ყერვალ-იშვილი, 40. ე. ქურციკიძე.

ვერ-ამოვიკითხეთ, რადგანაც ერთობ გაუგებარი ხელით იყო ჩამოწერილ

...ოსა ძუდიდებულა.

ჭული ხალხური სიმღერა

ღა მოდიდებულა თან მოაქვს მთა
და ველია,
ბილს დაუქადნია მე მომდის ბევ-
რი ქერია!

—

ედრულა მოგიკვდეს თუ ვერ გი-
ცვალოს ფერია!
ა კალო საბრძელი, სამასი კოდიც
ქერია!

წისქვილიც უკან გაჰკიდა წადი და იქა
ფქვევია,
გობ-საცერიც გაადევნა წადი და იქა სცერია!

—

კეცებიც უკან გაჰკიდა წადი და იქა სცხვევია
დიასახლისი სტიროდა ვაი რა[illegible] სწარია

—

მომივა გულის სტუმარი ჭადზედ ვარ ნას-
პინძელია,
რავქნა რითა ვსცე პატივი? სჯობს გამო-
ვიჭრა ყელია!

გლეხი ზვიადა ლობჯანიძე და მებატონე თავადები ძმათა არეშიძეები.

თითქმის მთელ რაჭაში გავრცელებულია აქამდის მებატონე არეშიძეთა ყვეტის შესახებ შემდეგი ლექსი:

პირველ საყმონი ვყოფილვართ
ჩვენ ორი ბატონისაო,
ორთა ძმათ არეშიძეთა
ნუ სწყალობს პირი მღვთისაო!

არ დაზოგავენ ქვრივ-ობოლთ
ცოლებს ართმევენ ყმებსაო,
თუ ვინმემ რამე შეჰკადრათ
მუშტით ამტვრევენ ყბებსაო!

ზვიადა ლობჯანიძე სოფელ ღების მცხოვრები რაჭველი გლეხი-კაცია. მე—17 საუკუნეში მოთავეთ ხდება რაჭაში გლეხთა აჯანყებისა.

ზვიადა თავის მოძმე გლეხებს აგონებს, რომ **სირცხვილია, „ჯვარს იწა ცოლები მოგყავსთ და უწინ ბატონებთან მიგყავთო“** კაცი უნდა **კაცი ი ფეხქვეშ არვის ეგებოდესო**, დროა მათი თესლი და ჯილაგი მოვსპო ხალხი თანახმა გაუხდა. მოურავი გაგნიაც გადმოიბირეს ბატონები ჯიჩვე სანადიროთ გამოაყვანიეს თვითონ ჭალაში ჩაუსაფრდენ და როდესაც ბატო ბოგირზედ შემოდგენ ზვიადა თავის სოფლის ღებელ ამხანაგებით დაეცა მათ ამოსწყვ...

ბატონები მოურავს სანადიროთ წამოყოლაზე უცბათ დახთანხმ მცა ცუდი სიზმრები ენახათ, ზმანებოდათ, რომ მოშხამული ის ესპობოდათ მაგრამ, გაგნია ამ სიზმარს ასე ულსნისთ, ეს სიზმარი ... რომ ბევრ ჯიხვებს დახოცავთო. ზვიადას არ დაელევა მადლი და შეებდობა ამ... დეინა დადიეს ბევრი და გულითაც ადღესგრძელეს.

მებატონე არეშიძეები რაჭაში. იმერეთიდან ყოფილან გადასული რომლ თვისაგ იმერეთის მეფეს მიუცია იქ ყმები და მიწა-წყალი. ზვიადას ასეთ მ... ებასა ... ელ რაჭველ მებატონეებზე ისეთი გავლენა მოუხდენია რომ მიხ შე... ბლეხებს დიდი პატივით ეპყრობოდენ თურმე ყველა.

ალ. იაშვილი.

წავიკითხე
[illegible] 3 [illegible]

2г

განცხადება.

ჩვენს მიერ ამ მოკლე სანში გამოიცემა ავრეთვე აკაკის პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“ რომლის გამოცემაც არავინ არ ეძია, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ბლომა ეულიც შეეგროვეს ხალხში, რაც კარგად იციან ბ ბ. **გრიგოლ დიასამიძემ** **და სასიკო მერკვილაძემ**

ფასი 25 მარცვალი